სკოლას შრომითი ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული ყველა დასაქმებულ პერსონალთან. ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №959 „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნები.

მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები სტატუსის შესაბამისია და გათვალისწინებულია კანონმდებლობით განსაზღვრული უფროსი, წამყვანი და მოწვეული მასწავლებლებისთვის დამატებითი ფუნქციები.

სკოლის პერსონალის პირად საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ:

1. ყველა მასწავლებელს პირად საქმეებში წარმოდგენილი აქვს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განაცხადება;

ბ) CV;

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) ნოტარიულად დამოწმებული დიპლომის ასლი;

ე) სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი; პირად საქმეებში სკოლის ყველა თანამშრომელს წარმოდგენილი აქვს ცნობები: სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ.

ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებების, კონკურსის გამოცხადების ბრძანებების, მასწავლებლის შესარჩევად ღია და შიდა კონკურსის ჩატარების წესის შესახებ ბრძანების, პერსონალის პირადი საქმეების დათვალიერებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;**

სკოლაში პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც დასტურდება პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს და სხვა სტრუქტურული ორგანოების სხდომის ოქმით.
სკოლის პერსონალთან გასაუბრებიდან ჩანს, რომ ისინი ჩართულნი არიან და მონაწილეობენ სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და პრობლემების მოგვარებაში. კათედრის ფარგლებში და კათედრებს შორის არის ეფექტური თანამშრომლობა. სკოლის თანამშრომლები ჩართული არიან თანამშრომელთა შერჩევის პროცედურებშიც.
სკოლის პედაგოგები ინტერვიუირების დროს საუბრობდნენ თანამშრომლობაზე, ურთიერთდასწრებებზე, განხორციელებული პროექტებზე და ა.შ.
ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ თანამშრომლებს ეძლევათ გარკვეული თავისუფლება, შეუძლიათ დამოუკიდებლად მოქმედება, გადაწყვეტილების მიღება და მასზე პასუხისმგებლობის აღება. მონაწილეობით ორგანიზაციულ კულტურაზე დაყრდნობით სკოლაში ხორციელდება ეფექტური კომუნიკაცია, მოსმენა, ურთიერთპატივისცემა და უკუკავშირი.
ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

<u>6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.</u>
სკოლაში გამოიყენებენ წარმატებულ გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების სხვადასხვა საშუალებას: ურთიერთდასწრებას, კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტს, სხვადასხვა კათედრის მიერ განხორციელებულ ერთობლივ პროექტებს, ინტეგრირებულ გაკვეთილებს. სკოლა ჩართულია USAID-ის საბაზისო პროგრამაში - ლიდერი მასწავლებლები რეგულარულად ახორციელებენ შეხვედრებს სხვა პედაგოგებთან, აცნობენ სიახლეებს და უზიარებენ ტრენინგებზე მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას. შინაგანაწესის შესაბამისად სკოლაში წახალისების გამჭვირვალე სისტემაა , არჩევენ წლის საუკეთესო მასწავლებელს, ამა თუ იმ პოზიციაზე განსაკუთრებული წარმატებისათვის თანამშრომლებს შინაგანაწესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისად უცხადებენ მადლობას, აჯილდოებენ სიგელებითა და ერთჯერადი (ფულადი)პრემიით. წარმატებული გამოცდილების გაზიარება და აღიარება ხდება როგორც საგნობრივ კათედრებზე, ასევე სასკოლო დონეზე.

პედაგოგებთან ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მიზნით იყენებს სკოლის საინფორმაციო დაფას, თიმსის პლატფორმას და სოციალურ ქსელს.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი;
- საკონკურსო კომისიის ბრძანება;
- საკონკურსო კომისიის ოქმი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;</u>**

სკოლის პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მიზნით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის დებულებაში გაწერილია შეფასება და განვითარების დადგენის მექანიზმები. ჯგუფის წევრები სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად ახდენს საგაკვეთილო დაკვირვებას, მასწავლებელთა თვითშეფასებას , აძლევენ უკუკავშირს, აკვირდებიან მასწავლებლის პროფესიული განვითარების პროცესს. მიზნობრივი შეხვედრებითა და ფოკუს ჯგუფების ანალიზის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების დადგენის შემდეგ ჯგუფი მასწავლებლებს სთავაზობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ სხვადასხვა ტიპის ტრენინგს. სკოლის ადმინისტრაცია ელექტრონული ფოსტების, ასევე სოც-ქსელებში შექმნილი ჯგუფების საშუალებით აწვდის თანამშრომლებს ინფორმაციას. ვიზიტის დროს სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფის ანგარიშები.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

2. **<u>პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;</u>**

სკოლაში უწყვეტად ხორციელდება პერსონალის პროფესიული ზრდა, სამუშაო პროცესის დაგეგმვის, განხორციელებისა და შედეგებზე დაკვირვების საფუძველზე, ეს ხდება როგორც გარე, ასევე შიდა მექანიზმების საშუალებით გამოვლენილი საჭიროების შესაბამისად. ადამიანური რესურსის განვითარების მიზნით სკოლაში მიმდინარეობს მასწავლებელთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თვითგანვითარების ხელშეწყობა, შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკულად საკლასო სივრცეში განხორციელება. სკოლამ დადასტურებად წარმოადგინა ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფის სამოქმედო გეგმა, სადაც იკითხება საჭიროებების გამოვლენისა და რეაგირების საჭირო ინსტრუმენტები. ასევე წარმოდგენილ იქნა გაკვეთილებზე დასწრებისას გამოვლენილი უკუკავშირების, კათედრების ანალიზებისა და მასწავლებელთა თვითშეფასების დოკუმენტების ანალიზის შედეგად შემუშავებული გეგმების განხორციელების მასალები. სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ უკუკავშირის, კათედრების ანგარიშის და მასწავლებელთა თვითშეფასების საფუძველზე, იკვეთება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, ხდება საჭიროებების გამოვლენა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

3. <u>სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;</u>

სკოლა ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას და კარიერულ წინსვლას, რაც დასტურდება ტრენინგების, სასკოლო პროექტების განხორციელებასა და სხვადასხვა აქტივობით. სკოლა ჩართულია USAID-ის საბაზისო განათლების პროექტში. სკოლაში მუშაობენ როგორც საგნობრივი ექსპერტები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენერები, ისინი უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას სხვა პედაგოგებს. სკოლა მათ საშუალებას აძლევს და ახალისებს, ჩაატარონ სამუშაო შეხვედრები, რაც ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას.

სკოლას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტთან გაფორმებული აქვს მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები პედაგოგიურ პრაქტიკას გადიან საგნის მასწავლებლების ხელმძღვანელობითა და მხარდაჭერით. სკოლის ბიბლიოთეკარი გამოცდილების გაზიარების მიზნით მჭიდროდ თანამშრომლობს ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკასთან. ბუღალტერმა კვალიფიკაცია აიმაღლა. აქედან გამომდინარე, **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

4. <u>.სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;</u>

სკოლა ხელს უწყობს თანამშრომლების ინტეგრაციას სასწავლო გარემოსთან. ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის მიზნით მათ აცნობენ შიდა სასკოლო რეგულაციებს, აცნობენ თანამშრომლებს, წარდგენისას ხაზს უსვამენ მათ ძლიერ მხარეებს, აწევრიანებენ პროფესიულ და შიდა სოციალურ ჯგუფებში. ისინი მონაწილეობას იღებენ სტრუქტურული ერთეულების მუშაობაში. აღნიშნული რეგულაციები გაწერილია სამოქმედო დოკუმენტში, რომელშიც ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნაბიჯი და ასევე სხვა საჭიროებებიც გათვალისწინებულია. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. <u>წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.</u>

სკოლა ახალისებს პერსონალის ინიციატივებს განვითარებასთან დაკავშირებით. ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ ხელს უწყობს მათ აქტიურ ჩართულობას სემინარებსა და ტრენინგებზე. სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას მასწავლებლებს პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელ და საჭირო ტრენინგ-მოდულებზე, ასევე სკოლის დირექციის მიერ მხარდაჭერილია მასწავლებელთა ინიციატივით დაგეგმილი სხვადასხვა პროფესიული განვითარებისთვის საჭირო აქტივობების განხორციელება. კერძოდ, კათედრების ურთიერთანამშრომლობა, ურთიერთდასწრება, პროექტები . სკოლა მუდმივად ითვალისწინებს მასწავლებლების ინიციატივებს და ამ მიზნით კათედრების მომართვის საფუძველზე უზრუნველყოფს მათ ყველა ტიპის საგანმანათლებლო რესურსით. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის სამოქმედო გეგმა.
- კათედრის სხდომის ოქმი.
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი.
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერთა ჯგუფის მასალები.
- ზუგდიდის უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;</u>**

სკოლას სასწავლო-სასკოლო გეგმაში აქვს დოკუმენტურად გაწერილი ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად მონიტორინგისა და შეფასების ვალდებულება . სკოლამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის კომპონენტების არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებები: კვლევები, ანალიზები, კათედრის სხდომის ოქმები და სხვა. აღნიშნული დოკუმენტაციით სკოლა არეგულირებს სასწავლო გარემოს, სწავლა/სწავლების პროცესის მართვას და საფუძვლად უდევს სკოლის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება. მონიტორინგის განხორციელება განსაზღვრულია 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმაში, სადაც მოცემულია, რომ მონიტორინგის შედეგები გამოიყენება არა მხოლოდ კონკრეტული

ინფორმაციის შესაფასებლად, არამედ სასწავლო პროცესის განვითარების ხელშესაწყობად. აღნიშნული მონიტორინგის განხორციელება განსაზღვრულია 2023-2024წ. სამოქმედო გეგმასა და შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტების შესაბამისად. დირექცია და ადმინისტრაცია ხარისხის უზრუნველსაყოფად იყენებს სხვადასხვა ტექნიკურ აღჭურვილობას, სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის მიწოდებას მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის, ასაკობრივი ჯგუფისა და მათი განვითარების დონის შესაბამისად, მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სკოლის ბიბლიოთეკაში არის სამუშაო სივრცე და მეთოდური ლიტერატურა. მოსწავლეებს ბიბლიოთეკაში საშუალება აქვთ ისარგებლონ უფასო უწყვეტი ინტერნეტით. სკოლა უზრუნველყოფილია თანამედროვე საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიებით, სახელმძღვანელოებითა და კომპიუტერული ტექნიკით. სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის მართვა და მონიტორინგი ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას, რეკომენდაციების შემუშავებას, ინტერვენციას და მის შედეგებზე დაკვირვებას, შემდგომი საჭიროებების დადგენისთვის.

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. **<u>იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;</u>**

სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები აქვს იდენტიფიცირებული, რაც დასტურდება 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში, სკოლის ადმინისტრაციას შორის ფუნქციების გადანაწილების შესახებ დოკუმენტში გაწერილი ფუნქცია- მოვალეობებით, ასევე ხელშეკრულებებში მოცემული და კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრული ვალდებულებებით.
სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების დროს სასკოლო საზოგადოების წევრებმა გასაუბრების დროს აღწერეს სკოლაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესი :სტრატეგიული დაგეგმვა, სასწავლო პროცესის ორგანიზება ,საინფორმაციო მართვის სისტემის წარმოება,, საბიბლიოთეკო სერვისის განხორციელება, ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსების მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საქმისწარმოება. შესაბამისად , იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები; **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;**

სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე, საჩივრების განხილვის სისტემა. იგი გაწერილია შინაგანაწესში ვადებითა და პროცედურებითურთ. როგორც სკოლის პერსონალს, ასევე, მოსწავლესა თუ მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვთ გაასაჩივრონ სკოლის გადაწყვეტილებები. აღნიშნულის შესახებ მათ მიეწოდებათ ინფორმაცია შინაგანაწესის განხილვის დროს. შინაგანაწესი გამოკრულია საჯაროდ სკოლის საინფორმაციო დაფაზე. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

4. **<u>სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.</u>**

სკოლაში პერსონალის უფლებები და მოვალეობები გაწერილია შრომით ხელშეკრულებებში, რომლებიც იდება სკოლასა და სკოლაში დასაქმებულ პირებს შორის. პერსონალის , მშობლის /კანონიერი წარმომადგენელის უფლებები გაწერილია შინაგანაწესში, რომლის გაცნობასაც ხელმოწერით ადასტურებს დასაქმებული თანამშრომელიც. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და მოვალეობები კი გაწერილია ხელშეკრულებაში, რომელიც იდება სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის. დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებსაც და მოსწავლეებსაც შეახსენებენ შინაგანაწესით გათვალისწინებულ რეგულაციებს, მათ შორის თავიანთ უფლება-მოვალეობებს. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- შრომითი ხელშეკრულება.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექანიზმები;</u>**

სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს, facebook-ის დახურულ ჯგუფებს, მესენჯერს, Microsoft Teams-ის ჯგუფებს, რათა მშობლებსა და დაინტერესებულ პირებს მიაწოდოს ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე მოვლენების შესახებ. მშობლებს შეუძლიათ თავიანთი აზრი დაფიქსირება ყველა საშუალებით. ასევე, სკოლა ღიაა პირადი საუბრებისთვის. ამ მხრივ როგორც დირექტორი და მოადგილე, ასევე, დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები სრულ მზაობას აცხადებენ. ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში ყოველთვის ტარდება შეხვედრები მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან, მასწავლებლებთან, რათა ინტერესისა და სურვილის შესაბამისად, საჭიროებებიდან გამომდინარე, სკოლა ინტერესდებოდეს მათი ხედვით, რათა ცვლილებების აუცილებლობის შემთხვევაში ყველას ინტერესი იყოს გათვალისწინებული.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

2. **<u>უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.</u>** სკოლის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულია სასკოლო საზოგადოების წევრები სამეურვეო საბჭოს მეშვეობით. წევრი მშობლები წარმოადგენენ მშობელთა ხმას სამეურვეო საბჭოში. თითოეული საფეხურიდან წარმომადგენელი, რომელიც სამეურვეო საბჭოს წევრია, მონაწილეობს სკოლის ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების პროცესში. ასევე, ისინი მონაწილეობენ სასკოლო-სასწავლო გეგმის განხილვისა და შეთანხმების პროცესში. სამეურვეო საბჭოს წევრია, ასევე, სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, რომელიც

წარმოადგენს სკოლის მოსწავლეთა ხმას სამეურვეო საბჭოში. მშობლები და მოსწავლეები არიან სკოლის დისციპლინური კომიტეტის წევრებიც. სკოლაში არჩეულია მოსწავლეთა თვითმმართველობა. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- დისციპლინური საბჭოს სხდომის ოქმები.
- სასკოლო-სასწავლო გეგმა.
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი.
- პედსაბჭოს სხდომის ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;**

ქ. ზუგდიდის N 10 საჯარო სკოლის შენობა ორსართულიანია, სკოლის ეზო შემოსაზღვრულია კაპიტალური ღობით . ეზოში მოწყობილია ღია სპორტული მოედანი. სკოლის გარე და შიდა პერიმეტრზე დამონტაჟებულია 16 ვიდეოკამერა, რომელთაგან სკოლის გარე პერიმეტრის კონტროლს ახორციელებს ორი , ხოლო შენობაში დამონტაჟებულია 14 კამერა. ვიდეო-სათვალთვალო სისტემით მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დერეფნებში, სპორტულ დარბაზში, ხოლო საკლასო ოთახებში, სკოლის სველ წერტილებსა და სპორტული დარბაზის გასახდელ ოთახებში ვიდეოკამერები დამონტაჟებული არაა. ვიდეო- სათვალთვალო სისტემის ჩანაწერები ინახება 16 სამუშაო დღის განმავლობაში და მათ ადმინისტრირებას სკოლაში ახორციელებს მანდატურის სამსახური. სკოლაში დანერგილია მასწავლებელთა მორიგეობის სისტემა. მასწავლებლები გაკვეთილების მიმდინარეობისას თვალყურს ადევნებენ, არ აღმოჩნდეს მოსწავლე საგაკვეთილო პროცესის მიღმა და თუ ასეთი მაინც მოხდება, არ დარჩეს იგი მეთვალყურეობის გარეშე. სკოლის დარაჯები მკაცრად აკონტროლებენ შენობაში შემსვლელებს მათი შემოსვლისა და გასვლის დროების მითითებით. სკოლის შენობის ორივე სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა და მის შესაბამისად დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები.
სკოლას მიღებული არ აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან და არც მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნის აღმოფხვრის შესახებ,
ამიტომ მიმდინარე წლის 14 ივლისს სკოლამ მიმართა შსს-ის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს წერილით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(MES 723 0000881514), რომლის თანახმადაც სსიპ ქალაქ ზუგდიდის N10 საჯარო სკოლა წარმოადგენს საქართველოში მოქმედ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელმაც საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N508 დადგენილების ,,სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ'' მე-5 მუხლის შესაბამისად შეიმუშავა სკოლის საგანგებო მართვის გეგმა და უგზავნის შესათანხმებლად. ასევე, წერილით (N2230000881438) სთხოვს, შეისწავლონ სსიპ ქალაქ ზუგდიდის N10 საჯარო სკოლის შესაბამისობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან და გასცენ შესაბამისი დასკვნა. სკოლა არ აქვს შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ დასკვნა. სკოლამ მიმართა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასავლეთ საქართველოს რეგიონალურ ექსპერტიზის დეპარტამენტს წერილით N MES 823 0000724168, 20.06.2023წ. შენობის მდგრადობის დადგენის მიზნით. აღნიშნულ უწყებასა და სკოლას შორის გაფორმდა ხელშეკრულება შენობის ტექნიკური შემოწმების მიზნით ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე.

<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 2023 სექტემბრიდან 2023 წლის დეკემბრამდე, შესაბამისად , ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“ , შეფასდა როგორც“ მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია-1. სკოლამ მოიპოვოს დასკვნა შენობა- ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. 2.ასევე, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა და 3. საქართველოს შინაგან სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული სკოლის დირექტორის დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში.</u>

მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების მიზნით სკოლაში მოწყობილია ექიმის კაბინეტი. კანონმდებლობის სრული დაცვით გამოცხადდა კონკურსი (24.01. 2023 წ. N2-04 ბრძანება) ვაკანტურ პოზიციაზე, თუმცა ვერ იქნა შერჩეული შესაბამისი კადრი. სკოლა გეგმავს გამოაცხადოს კონკურსი ექიმის ვაკანსიაზე. ექიმის კაბინეტი აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით, მარაგებით და მედიკამენტებით. სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს ექიმი.

სკოლა გაეცნო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტს და წარმოაგიდგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.1. ინდიკატორთან მიმართებაში. აღნიშნული შესაბამისობის გეგმიდან გამომდინარე, სკოლა 2023 წლის სექტემბრიდან 2023 წლის ოქტომბრამდე უზრუნველყოფს კონკურსის წესით სკოლის ექიმის აყვანას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომრები. სკოლას არ ჰყავს კანონმდებლობის შესაბამისად შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი. **მიეცა რჩევა: კანონმდებლობის შესაბამისად შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანის. ინდიკატორი სტანდარტს მეტწილად შეესაბამება.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;**

სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას როგორც გაკვეთილების მიმდინარეობისას, ასევე, შენობაში შესვლისა და გასვლის დროს. სკოლაში მასწავლებლები მორიგეობენ გაკვეთილების მიმდინარეობისას, სკოლის ვიზიტორებს აღრიცხავს დარაჯი. სკოლას ჰყავს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, მოსწავლის უკონტაქტო დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში ნებისმიერი დარღვევა აღირიცხება ელექტრონული წესით ელექტრონული ჟურნალის შესაბამის ველში და მოჰყვება დაუყოვნებლივი რეაგირება. ღონისძიებების ეს ერთობლიობა მინიმუმამდე ამცირებს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტებს. გამოვლენილი თითოეული დარღვევა არ რჩება რეაგირების გარეშე.
ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

3. **<u>სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;</u>**

სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასკოლო გარემო, სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი თავს გრძნობს დაცულად ძალადობისა და პიროვნული ღირსების შემლახავი გამონათქვამებისაგან, ვინაიდან ტარდება პრევენციული სახის სამუშაოები: საუბრები და სიმულაციები სადამრიგებლო კლასის საათებზე; როლური თამაშები, პროექტები ბულინგსა და ძალადობაზე. სამოქალაქო განათლების მასწავლებელთან ერთად უფროსკლასელები ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობას, მონაწილეობენ ამ საკითხებთან დაკავშირებულ სხვადასხვა ორგანიზაციებისა და თავად მოსწავლეების მიერ ინიცირებულ პროექტებში. სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეების ქცევის მართვას, საჭიროების შემთხვევაში კონსულტირებას უწევს მასწავლებლებს ამ თემებთან დაკავშირებით. ფსიქოლოგიური და ემოციურად უსაფრთხო გარემო, როგორც ინტერვიუდან ჩანს, სკოლაში პრიორიტეტულია, ამიტომ სადამრიგებლო საათის თემატიკა ხშირად ამ თემებზეა ორიენტირებული.
ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. <u>სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;</u>

სკოლაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა დამლაგებელს განსაზღვრული აქვს სამუშაო სივრცე. სკოლა ერთცვლიანია და მათ საკმარისი დრო აქვთ დასუფთავებისათვის. სველი წერტილები განთავსებულია ყველა სართულზე. დასუფთავებისთვის გამოყოფილია კონკრეტული საათები და ამ გრაფიკის მიხედვით ისინი აწესრიგებენ სკოლის შენობას, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით. დღის ბოლოს კი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი ადასტურებს ხელმოწერით დღის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების ხარისხს, საჭირო მარაგების შევსებას ადგილზე, ასევე ვიზუალურად ათვალიერებს ყველა საკლასო ოთახს, დერეფანს, სველ წერტილებს და კაბინებს, რათა დროულად იქნეს აღმოჩენილი ნებისმიერი დაზიანება მათი დროულად შეკეთების მიზნით. <u>**ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**</u>

5. <u>სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;</u>

სკოლა ზრუნავს სასკოლო საზოგადოების პერსონალური მონაცემების დაცვაზე. სკოლის პერსონალური მონაცემები დაცულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა eschool-ში. ამ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საინფორმაციო მენეჯერი. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეთა პირადი მონაცემების გასაჯაროებისათვის იყენებენ მშობელთა თანხმობის ფორმას. სკოლის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მონაცემები ინახება ელექტრონულ ჟურნალში, რომელზეც ხელი მიუწვდება მოსწავლეს, მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. სკოლა უზრუნველყოფს როგორც მოსწავლისა და მისი მშობლის/მეურვის, ასევე - სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომლის პერსონალური მონაცემების დაცვას. საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში სკოლას სჭირდება მოსწავლეთა და დასაქმებულ პირთა როგორც ჩვეულებრივი, ასევე განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება. მოსწავლეთა მონაცემების დამუშავება იწყება მათი სკოლაში რეგისტრაციის მომენტიდან. გარკვეული ინფორმაცია სკოლაში ინახება სასწავლო პროცესის დასრულების შემდგომაც, ხოლო მასწავლებელთა და სხვა დასაქმებულ პირთა პერსონალურ მონაცემთა დამუშავება იწყება ვაკანტურ ადგილზე განცხადების შეტანის მომენტიდან და გრძელდება შრომითი ურთიერთობის მანძილზე. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. <u>სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;</u>

სკოლის დირექტორის ბრძანების თანახმად, სკოლას დამტკიცებული აქვს ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი. სკოლა იცავს მის ხელთ არსებულ ინფორმაციას. ამ მიზნით სკოლაში ტარდება საინფორმაციო კამპანიები. მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების კუთხით კიბერ-უსაფრთხოების საკითხებზე თემები შესულია სადამრიგებლო პროგრამებში. ასევე საუბრები იმართება მშობლებთანაც. სკოლაში ფუნქციონირებს მონაცემთა ბაზების ელექტრონული სისტემა.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

7. <u>სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.</u>

სკოლას აქვს უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი. სკოლა ახორციელებს უსაფრთხოების ნორმების მონიტორინგს და ანგარიშს წარადგენს მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე. მრჩეველთა საბჭოს მიერ მოწოდებულ რეკომენდაციებს ითვალისწინებენ შემდეგ მუშაობაში. როგორც ინტერვიუსას გამოიკვეთა, სკოლაში არასდროს გამოვლენილა მძიმე ხასიათის დარღვევები, ამიტომ ასეთი რთული შემთხვევების მართვის გამოცდილებაც არ არსებობს. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი;
- სპეც-პედაგოგის ხელშეკრულება;
- მასწავლებელთა მორიგეობის ცხრილი;
- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება;
- სადამრიგებლო პროგრამა
- სანიტარული კვანძების დასუფთავების გრაფიკი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- წერილი MES 2230000881438
- წერილი MES 8230000724168

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;</u>**

1. სკოლის ინფრასტრუქტურა და რესურსები იძლევა საშუალებას სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და ეფექტური მუშაობის წარმართვისათვის. სკოლა ახალი რეაბილიტირებულია . სასწავლო შენობა გათვლილია 700 მოსწავლეზე. სკოლა აღჭურვილია საჭირო რესურსებით, არის საბუნებისმეტყველო და საინფორმაციო ლაბორატორიები აღჭურვილი სათანადო სასწავლო რესურსით : კომპიუტერები, პროექტორები, თვალსაჩინოებები, პლაკატები, რუკები, წიგნები, რესურსოთახი, სპორტული დარბაზი, ღია სპორტული მოედანი , ბიბლიოთეკა, მოსწავლეთა რაოდენობისა და საფეხურების შესაბამისი სასკოლო ინვენტარი(სასკოლო მერხები და სკამები).

ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. **<u>დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;</u>**

სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის საშუალებას, რომ ყველა სივრცე, ასევე საერთო სარგებლობის სივრცეები, ხელმისაწვდომია ყველა ტიპის მოსწავლისა თუ მასწავლებლისთვის. სკოლის შემოსასვლელები უზრუნველყოფს სკოლაში შემოსვლისას ნაკადების მართვას. სკოლაში არის საკმარისი რაოდენობის მერხები, სკამი და მატერიალური რესურსები ყველა მოსწავლისათვის ასაკისა და განვითარების შესაბამისად. სკოლა დაფარულია უწყვეტი ინტერნეტით.

<u>ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. <u>სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;</u>

სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ინკლუზიურ გარემოს, რაც დასტურდება ვიზუალური დათვალიერებითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით. სკოლის შემოსასვლელი არის ადაპტირებული. ყველა სართულზე არის ადაპტირებული სველი წერტილები. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი, საჭირო რესურსით.
<u>ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.</u>

4. <u>სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;</u>

სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. სკოლაში არის ნათელი საკლასო ოთახები, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, ექიმის კაბინეტი, სამასწავლებლო, სპორტული დარბაზი, რესურსოთახი. სკოლა სრულ თავისუფლებას აძლევს მოსწავლეებს, ისარგებლონ აღნიშნული რესურსებით გაკვეთილების შემდეგაც. სკოლის ფოიეში იმართება მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენები, ხორციელდება სხვადასხვა პროექტი , სასკოლო ღონისძიება.
<u>ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.</u>

5. <u>სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).</u>

სკოლაში არის ყველა ტიპის საგანმანათლებლო რესურსი. სკოლა ყველა საგანს ასწავლის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით. დამატებითი რესურსების საჭიროებას ადგენენ კათედრები. მათი მოთხოვნის საფუძველზე სკოლა გეგმავს და იძენს საჭირო რესურსებს. სპეც მასწავლებლის მიერ ყოველი წლის დასაწყისში ისაზღვრება იმ კონკრეტული ტიპის რესურსების ჩამონათვალი, რომლებიც საჭიროა სკოლის სსსმ მოსწავლეებისათვის. სკოლის ბიბლიოთეკაში არის ყველა ტიპის მეთოდოლოგიური ლიტერატურა, ასევე, კომპიუტერები და სივრცე იმისათვის, რომ იმ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომელთაც არ მიუწვდებათ ელექტრონულ მოწყობილობებზე, დავალებები სკოლაში შეასრულონ. ამისათვის გამოიყენება კომპიუტერული ლაბორატორიაც.

<u>ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- შენობის შიდა აზომვითი ნახაზი;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი;
- საინვენტარიზაციო უწყისი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;</u>**

სკოლაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა არის გამართული. საკლასო ოთახებში დამონტაჟებულია კომპიუტერები და პროექტორის ეკრანი, რომელიც მიერთებულია უწყვეტ ინტერნეტთან. ეს მასწავლებლებს საშუალებას აძლევს სასწავლო პროცესი წარმართონ სრულფასოვნად. ელექტრონული ჟურნალი აწარმოონ დროულად, ხარვეზების გარეშე. ასევე, სამასწავლებლო აღჭურვილია კომპიუტერებით, კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი - აღჭურვილია ტექნიკით. გარდა კომპიუტერებისა, სკოლაში 6 პროექტორია, რომელთა ნაწილი უძრავად არის დამონტაჟებული სხვადასხვა საკლასო ოთახში. პარალელურად ხელმისაწვდომია დაუმონტაჟებელი პროექტორიც, რომლებსაც მასწავლებლები მოიხმარენ ნებისმიერ საკლასო ოთახში. სკოლა სარგებლობს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემით EFLOW და ESCHOOL, რომელსაც იყენებენ როგორც მასწავლებლებთან ან სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან, ასევე მესამე პირებთან ურთიერთობისათვის.

<u>ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.</u>

2. **<u>ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში შემუშავებულია კომპიუტერული ტექნოლოგიებით სარგებლობის წესები დებულების სახით, რაც განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში ხელმისაწვდომ ადგილზე. გასაუბრებისას სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიები ხელმისაწვდომია მათთვის, კერძოდ აქვთ საშუალება ნებისმიერ საკლასო ოთახსა თუ კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ასევე, სამასწავლებლოსა და ბიბლიოთეკაში ისარგებლონ სასკოლო რესურსით. დარჩნენ გაკვეთილების შემდეგ, მოაწყონ სამუშაო შეხვედრები, დაესწრონ ნებისმიერ ონლაინ ტრენინგს, აიმაღლონ კვალიფიკაცია, გაესაუბონ მშობლებს, განახორციელონ პროექტები და ა. შ. მასწავლებლებს ან მოსწავლეებს, რომელთაც არ აქვთ სახლში შესაბამისი მოწყობილობები, შეუძლიათ სკოლაში არსებული მოწყობილობებით სარგებლობა.
სასკოლო რესურსები უზრუნველყოფს სკოლის პერსონალის განვითარების მხარდაჭერას. კომპიუტერულ ლაბორატორიაში ხშირად ტარდება სხვადასხვა ტიპის შეხვედრები, ონლაინ ჩართვები. მასწავლებლები სხვადასხვა გამოკითხვას აწარმოებენ Google Forms- ის გამოყენებით.

ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ინვენტარიზაციის დოკუმენტი;
- ბიბლიოთეკის დებულება.
- კომპიუტერული ტექნოლოგიებით სარგებლობის წესი.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტ-ბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;</u>**

სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი, რაც დამტკიცებულია დირექტორის N2-55 (27 .06. 2023წ) ბრძანებით.
სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ელექტრონული დოკუმენტ-ბრუნვის სისტემა Eflow, სადაც ხდება შემოსული და გასული კორესპოდენციების ელექტრონულად წარმოება, დირექტორის ბრძანებების გატარება, სამსახურებრივი ბარათებისა და წერილების ასახვა. სკოლას აქვს სრულყოფილი ელექტრონული ბაზა ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში - Eschool. სკოლა კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან ანგარიშების წარდგენას. პერსონალისა და პირადი საქმეები სრულად შეესაბამება მოთხოვნებს. შემოსული წერილებს ვადების დაცვით ეგზავნებათ პასუხები. განცხადებები მიიღება მხოლოდ უფლებამოსილი პირებისგან. საქმისწარმოება სკოლაში ორგანიზებულია, აქედან გამომდინარე,
ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტ-ბრუნვის ელექტრონული სისტემა;**

სკოლა მართვისთვის იყენებს სკოლის ელექტრონულ დოკუმენტ-ბრუნვის სისტემას Eflow, eschool, სკოლა, ასევე, იყენებს სკოლის ელექტრონულ ფოსტას, საჭიროებისას და გადაუდებელი აუცილებლობისას სკოლის სამუშაო შეხვედრები იმართება Teams-ის პლატფორმის გამოყენებით. გარდა პირისპირ შეხვედრებისა, ამავე პლატფორმას იყენებენ დამრიგებლები მშობლებთან ურთიერთობისთვის. ***<u>ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.</u>***

3. **<u>სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახავს ყველა სავალდებულო ინფორმაციას. სკოლას გააქტიურებული აქვს სოციალურად დაუცველისა და დევნილის ველი ყველა ამ სტატუსის მქონე მოსწავლისათვის, ასევე, გააქტიურებულია მილტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის მქონე პირებზე შესაბამისი ველი. ყველა მოსწავლის მშობლის მონაცემი ატვირთულია სისტემაში. ყველა მასწავლებელს გააქტიურებული აქვს თავისი პროფილი და საჭიროებისა და სურვილის მიხედვით ტვირთავენ თავიანთ პროფილზე შესაბამის დოკუმენტებს შესაბამის ველებში.

<u>ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.</u>

4. <u>სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.</u>

სკოლა დროულად და დაუყოვნებლივ აწვდის ანგარიშებსა თუ მოთხოვნილ ინფორმაციას საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს, თანამშრომლობს მათთან და ამისათვის იყენებს ელექტრონულ საშუალებებს. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ანგარიშს წარუდგენს საქართველოს პარლამენტს, პრემიერ მინისტრსა და საქართველოს პრეზიდენტს . ყოველი წლის 10 დეკემბრამდე დირექტორი ანგარიშს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. ***<u>ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.</u>***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საქმისწარმოების წესი;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
- ერთიანი ელექტრონული სისტემა.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;</u>**

სკოლა საზოგადოების ინფორმირებისათვის იყენებს სოციალურ გვერდს, თიმსის პლატფორმას, საინფორმაციო დაფას. ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ საჭიროების შემთხვევაში მშობლებთან საკომუნიკაციოდ სკოლა იყენებს მესენჯერსა და სატელეფონო საუბრებს. სკოლის ფეისბუკ გვერდზე მუდმივად ზიარდება სასკოლო ცხოვრების წარმატებული მაგალითები: ყველა მოსწავლისა თუ მასწავლებლის წარმატება, აქტივობების ამსახველი ინფორმაცია, პროექტები, პრეზენტაციები, კონფერენციებში მონაწილეობა. სკოლას ამ დროისთვის არ აქვს ვებ. გვერდი, აღნიშნულის შესახებ MES 8230000660925 08.06.2023წ. წერილით მიმართა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას, რაზეც მიიღო პასუხი, რომ იქმნება სკოლების

პორტალი და სკოლას გამოყოფილი ექნება საკუთარი ვებ. გვერდი, რომელშიც ინფორმაციის განთავსებასა და განახლებაზე თავად სკოლა იქნება პასუხისმგებელი. სკოლას ამ დროისთვის ვებ გვერდი არ აქვს.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6.3.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 2023 წლის ოქტომბერი. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება," შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება". რეკომენდაცია-სკოლამ უზრუნველყოს ვებ.გვერდის ფუნქციონირება შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში.

2. **<u>სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;</u>**

სკოლაში დანიშნულია ინფორმაციის გავრცელების სანდოობაზე პასუხისმგებელი პირი - სკოლის საინფორმაციო მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის გადამოწმებას მისი უტყუარობის და სანდოობის მიზნით. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის შესახებ უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. ***<u>ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.</u>***

3. **<u>საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;</u>**

სკოლა ნებისმიერი საშუალებით მიღებულ უკუკავშირს განიხილავს და აანალიზებს, თუ რამდენადაა შესაძლებელი ამ უკუკავშირის მიხედვით რამის შეცვლა, ითვალისწინებს მოქმედ კანონმდებლობასა და ფიზიკურ შესაძლებლობებს და აუცილებლად ცვლის დამოკიდებულებას. სკოლაში ჩატარდა მშობელთა გამოკითხვა, თუ რა მიმართულების წრეებს ისურვებდნენ სკოლაში. აღნიშნული პასუხების გაანალიზებით დაიგეგმა შემდეგი ნაბიჯები. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

4. <u>სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;</u>

სკოლას არ აქვს მოქმედი ვებ გვერდი. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლამ მიმართა მართვის საინფორმაციო სისტემას. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6.3.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 2023 წლის ოქტომბერი. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება," შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება". რეკომენდაცია-სკოლამ უზრუნველყოს ვებ.გვერდის ფუნქციონირება შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.**

სკოლას არ აქვს ვებ გვერდი. აღნიშნულის შესახებ მიმართა მართვის საინფორმაციო სისტემას წერილით. მიიღო პასუხი, რომ შეიქმნება პორტალი, სადაც სკოლას ექნება საკუთარი ვებ.გვერდი, რომელშიც ინფორმაციის განთავსებაზე თავად იქმნება პასუხისმგებელი. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6.3.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 2023 წლის ოქტომბერი. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება," შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება". რეკომენდაცია-სკოლამ უზრუნველყოს ვებ.გვერდის ფუნქციონირება შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მშობელთან ურთიერთობის დებულება;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;</u>**

სკოლა ფინანსურად მგრადია. სკოლის ბიუჯეტი განსაზღვრულია ვაუჩერული დაფინანსებიდან და დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლის დირექტორთან და ბუღალტერთან გასაუბრებით, წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება,

რომ სკოლას შეუძლია დააფინანსოს სკოლის მოსწავლეთა საჭიროებები და დაგეგმილი ღონისძიებები, რაც სკოლის სამოქმედო გეგმითაა გათვალისწინებული. სკოლის ბიუჯეტს დირექტორი დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებულია სავარაუდო შემოსავლები, მომდევნო წლის პრიორიტეტები. წლიური შესყიდვების გეგმას ადგენენ წინა წლებისა და ბაზრის კვლევის გათვალისწინებით. სკოლის ბიუჯეტი აძლევს სკოლას სამოქმედო გეგმის განხორციელების შესაძლებლობას. ***<u>ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.</u>***

2. <u>**სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.**</u>

სკოლა ფინანსურ რესურსებს მართავს მიზნობრივად. ელექტრონულ საბანკო სისტემაზე მოქმედებს ორდონიანი დაცვა, რათა თავიდან იქნას აცილებული ნებისმიერი შეცდომა. სკოლის დირექტორი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აბარებს სკოლის სამეურვეო საბჭოს 10 დეკემბრამდე ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ. მონიტორინგის საშუალებას კი იძლევა სპეციალური ფორმები, რომლებსაც სკოლის ბუღალტერი ადგენს ყოველი თვის ბოლოს. მასში მოცემულია ის შემოსავლები და ხარჯები, რომლებიც სკოლას ჰქონდა კონკრეტულ თვეში. აღნიშნული ფორმა ივსება სკოლის საბანკო ამონაწერიდან. ეს გამორიცხავს ნებისმიერ შეცდომას ან ხარვეზს ფინანსების მიზნობრივად განკარგვისას. გარდა აღნიშნულისა, სკოლა ყოველი წლის ბოლოს ქმნის კომისიას, რომელიც ატარებს ფინანსური აქტივების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციას. ***<u>ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.</u>***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტი;
- წლიური ფინანსური ანგარიშების დოკუმენტი;
- ბრძანება 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი.
- დირექტორის ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. <u>**სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;**</u>

სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას და გარანტიებს უზრუნველყოფს სკოლის შიდა რეგულაციები. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები, ასევე გაწერილია საჩივრის განხილვის წესი (მუხლი22). მოსწავლეთა უფლებების დაცვა ხორციელდება ნებისმიერ ეტაპზე ნებისმიერი პირის მიერ და რეალიზებულია სასკოლო გარემოში. მანდატურის სამსახური თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების, უსაფრთხოებისა და შინაგანაწესის დაცვას. სკოლასა და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაწერილია მოსწავლეთა უფლება-მოვალეობები. მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ მათი წარმომადგენლის მეშვეობით სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინური კომიტეტის მუშაობაში. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც არჩეულია დემოკრატიული პრინციპებით და რომლის მიზანს წარმოადგენს მოსწავლეების თვალით დანახული პრობლემების გათვალისწინება და სკოლის ცხოვრებაში მაქსიმალური ჩართულობის გაზრდა. სკოლაში მოქმედებს რეფერირების პროცედურები, რაც ემსახურება მოსწავლეთა ინტერესების დაცვას. სკოლის სასკოლო-სასწავლო გეგმა მოიცავს ინდივიდუალური გეგმის შემუშავების რეგულაციებს.

სკოლაში ყველა მოსწავლის პერსონალური ინფორმაცია დაცულია, ინფორმაციის გაცემა ხდება მხოლოდ მშობლის წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

<u>აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.</u>

2. <u>მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;</u>

სკოლაში მოსწავლის ქცევის კოდექსი და შინაგანაწესი, რომელიც საჯარო დოკუმენტებია, გამოკრულია სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე, კერძოდ საინფორმაციო დაფაზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. კლასის დამრიგებლების ფუნქციებში გაწერილია მოსწავლეთათვის შინაგანაწესის გაცნობის ვალდებულება. სასწავლო წლის დასაწყისში მშობელთა კრებაზე მშობლებს, ხოლო სადამრიგებლო საათზე მოსწავლეებს აცნობენ შინაგანაწესს. სკოლის

დერეფნებში გამოკრულია 112 -ის, მანდატურის, სახალხო დამცველის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელი ხაზის ნომრები. კლასის დამრიგებლები მშობელთა კრებებსა და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მშობლებს აწვდიან ყველა საჭირო ინფორმაციას, გასაჩივრების მექანიზმებს, ძალადობაზე რეაგირებისა და რეფერირების პროცესს. საჭიროების შემთხვევაში იგეგმება მშობელთან ინდივიდუალური შეხვედრები. სკოლის მოსწავლეებმა იციან თავიანთი უფლებები. აქედან გამომდინარე, მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებული სასკოლო საზოგადოებასთან. ***ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.***

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.**

მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება, რომელიც ძალაშია მოსწავლის სწავლის დასრულებამდე და ინახება მოსწავლეთა პირად საქმეებში. ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია ორივე მხარის ინტერესები, გაწერილია მხარეთა ვალდებულებები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, მხარეთა რეკვიზიტები. ასევე მშობელთან გაფორმებულია შეთანხმების ფორმა, რომელიც მოიცავს ნებართვას არასრულწლოვნების ფორმალური და არაფორმალური განათლების დროს ფოტოსურათების გადაღებისა და გასაჯაროების თაობაზე. აღნიშნული დოკუმენტი განთავსებულია დამრიგებელთა პორტფოლიოში. **ინდიკატორი სტანდარტს შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- დამრიგებლის ფუნქციები;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლა მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის , სტატუსის შეჩერების პროცედურებს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებების შესაბამისად. ამის მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებები მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერების შესახებ, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისია. განსაკუთრებული პირობები მოსწავლეთა მიღებასთან დაკავშირებით სკოლას არ აქვს. სკოლაში ირიცხება ყველა მოსწავლე ყველანაირი დისკრიმინაციის გარეშე, კლასებში რაოდენობების გათვალისწინებით იმ დოკუმენტების საფუძველზე, რაც განსაზღვრულია კანონმდებლობის შესაბამისად. პირველ კლასში რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონულად. ყველა მოსწავლეზე იხსნება პირადი საქმე. საფეხურის დაძლევის წესები გაწერილია სასკოლო-სასწავლო გეგმაში, საფეხური ითვლება დაძლეულად პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებისა და შესაბამისი ბრძანების საფუძველზე. მობილობის შემთხვევაში მშობლის განცხადების საფუძველზე ელექტრონული ბაზის მეშვეობით ხდება მომართვის დადასტურება და მოსწავლის ჩარიცხვა-ამორიცხვა. მოსწავლის სტატუსის შეჩერება ხდება მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების, გაცდენების ან კლასის დამრიგებლის სამსახურეობრივი ბარათის

საფუძველზე სკოლის მიერ გამოცემული ბრძანებით. სკოლას ამ დროისთვის არ აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების გამჭვირვალე და მკაფიო-კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები.
სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 4.1.2.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 2023წლის 01.სექტემბრიდან 30 სექტემბრამდე, შესაბამისად ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე იყო შეფასებული, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმების შემუშავება შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში.

2. <u>სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;</u>

სკოლა მოსწავლეთა ჩარიცხვას და მობილობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე და აწარმოებს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ესქულში. გამოიცემა ბრძანება მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ , ხოლო მობილობა ხდება მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე . პირადი საქმეები იგზავნება მიმღებ სკოლაში მატერიალური სახით ფოსტის საშუალებით. დაწყებითი , საბაზო, საშუალო საფეხურის დაძლევა ხდება დირექტორის ბრძანების საფუძველზე , რომელიც გამოიცემა მოსწავლეთა წლიური შედეგების საფუძველზე. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვის საფეხურის დაძლევის , მობილობის ყველა საჭირო რეგულაციას.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;**

სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, კლასის დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას. მათთვის სოციალური

ქსელის საშუალებით ხელმისაწვდომია სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალები. საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო კალენდარი, დღის რეჟიმი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია. სკოლას ამ დროისთვის სასკოლო- სასწავლო გეგმით არა აქვს შეთავაზებული მოსწავლეებისთვის დამატებითი არასავალდებულო მომსახურება, წრეები. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

4.<u>სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული</u>

სკოლის, მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის არადისკრიმინაციული და კანონმდებლობის შესაბამისი. სკოლის პერსონალი, კლასის დამრიგებლები სისტემატურად აწვდიან ინფორმაციას საინფორმაციო შეხვედრების და დახურული ჯგუფების მეშვეობით ყველა მოსწავლეს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს სერვისების, დაგეგმილი შიდასასკოლო და ეროვნული ოლიმპიადების, ღონისძიებების, რესურსების და სერვისების შესახებ. განახლების პროცესი ეფუძნება მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგებს. ***<u>აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.</u>***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო- სასწავლო გეგმა;
- მოსწავლის სტატუსის შეჩერების ბრძანება.
- მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანება.
- პედსაბჭოს ოქმი მოსწავლეთა მიერ საფეხურის დაძლევის შესახებ.
- მულტიდისციპლური გუნდის დასკვნა.
- ინტერვიუს შედეგები;
- შინაგანაწესი

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. <u>სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;</u>

სკოლას ამ დროისთვის არ აქვს შემუშავებული მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმები. გასაუბრებისას ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ სკოლაში ხდება საბავშვო ბაღიდან ტრანზიციის პროცესის ხელშეწყობა, ზრუნავენ თითოეულ ახლად გადმოსულ მოსწავლეზე. კლასის დამრიგებელი ახალ მოსწავლეს წარუდგენს კლასს. აცნობს სკოლის შიდა რეგულაციებს, საერთო სივრცეებით სარგებლობის წესებს, დღის რეჟიმს, ეცნობა მოსწავლის ინტერესებსა და უნარებს , საყვარელ საქმიანობას, რათა მოახდინოს მისი აქტიური ჩაბმა სასკოლო ცხოვრებაში. მოსწავლეთა ადაპტაციისათვის სკოლას აქვს მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული ინფრასტრუქტურა /ფართო, ნათელი საკლასო ოთახები, კეთილმოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიები, კომპიუტერული ტექნიკა და რესურს ოთახი, ექიმის კაბინეტი, ბიბლიოთეკა და ა. შ.
სკოლა გეგმავს ტრანზიციის გეგმის შემუშავებას , სადაც გაწერილი იქნება როგორც პირველკლასელთა მიღების, ასევე მობილობის შედეგად ჩარიცხული მოსწავლის ადაპტაციის მექანიზმები. სკოლას ამ დროისთვის არ აქვს შემუშავებული მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი.
სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 4.2.1.1.ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 2023წლის 01 სექტემბრიდან 30 სექტემბრამდე, შესაბამისად ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც“ არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია- სკოლამ უზრუნველყოს სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმის შემუშავება შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში.

2. <u>სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან</u>.

სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. სკოლას აქვს ახალი გარემო. რეაბილიტაციის შემდეგ შეიცვალა საკლასო ოთახების, ლაბორატორიების, სველი წერტილების განლაგება. პირველ კლასში ჩარიცხულ მოსწავლეებს სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლა უწყობს ღონისძიებას სკოლის გაცნობის მიზნით. მომავალ დამრიგებელსა და თითოეულ მოსწავლეს შორის ხდება ინდივიდუალური შეხვედრები უკეთ გაცნობის მიზნით. (მოსწავლეები ათვალიერებენ და ეცნობიან სკოლის გარემოს, მასწავლებლებს, მოსწავლეებს, ხოლო სწავლის დაწყების პირველ

დღეს მასწავლებელი საზეიმოდ აწყობს საკლასო ოთახს და მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით იმართება საზეიმო ღონისძიება. პირველკლასელთა შორის სსსმ მოსწავლის არსებობის შემთხვევაში სკოლა დაწვრილებით აცნობს ინფორმაციას სკოლის შესახებ , ასევე სკოლა იღებს მულტიდისციპლინური გუდის მიერ მიღებულ შეფასებას და მოქმედებს შესაბამისად სპეციალურ მასწავლებელთან ერთად . **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

3. <u>მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;</u>

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების მიხედვით სკოლა სათანადო კონსულტირებას უწევს მოსწავლეს მისი მიღწევების გასაუმჯობესებლად, რისთვისაც იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასების ინსტრუმენტებს, ტარდება სხვადასხვა სახის კონკურსი, ხორციელდება სასწავლო და სოციალური პროექტები.
მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, რადგან ორიენტირებულია მოსწავლეთა აკადემიური უნარების გაუმჯობესებაზე. კლასის ხელმძღვანელები საგნის მასწავლებლებთან თანამშრომლობით სისტემატიურად ახდენენ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგს და მოსწავლეებს უტარებენ დამატებით მეცადინეობებს, როგორც ჯგუფურად, ისე ინდივიდუალურად. მოსწავლე იღებს ზეპირ განმავითარებელ შეფასებას. რეგულარულად კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებით პირისპირ ან ელექტრონულად მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აწვდიან მოსწავლეთა აკადემიური შედეგების შესახებ ინფორმაციას. სკოლა მოსწავლეთა მიერ წლის განმავლობაში საგნისთვის დათმობილი საათების 30% და მეტი გაცდენის გამო ექსტერნის გამოცდამდე მართავს კონსულტაციებს მოსწავლის მშობელთან შეთანხმებით შედგენილი გრაფიკის შესაბამისად. ასევე სკოლის ფარგლებში იმართება შეხვედრები ერთ კლასში შემსვლელ მასწავლებელთა მონაწილეობით, სადაც განიხილავენ მოსწავლეთა საჭიროებებს, უზიარებენ გამოცდილებას და გეგმავენ სასწავლო პროცესს, რაც საშუალებას იძლევა მეტად ორიენტირებულები იყვნენ მოსწავლის მხარდაჭერაზე. ***<u>ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.</u>***

4. <u>სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების მიხედვით, სკოლა აცხადებს მზაობას გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში გაუწიოს მოსწავლეს ადმინისტრაციული მხარდაჭერა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით.
კლასის დამრიგებლები მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან სასწავლო წლის დასაწყისში , ასევე მოსწავლეებთან სადამრიგებლო საათის ფარგლებში აცნობენ მათ უფლებებს და მოვალეობებსა და განხორციელების მექანიზმებს. მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს დისციპლინურ კომიტეტში მასთან დაკავშირებული საკითხის განხილვას ესწრებოდეს თვითონ და მისი მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. დისციპლინური სახდელის დაკისრების შემთხვევაში, რომლის შესახებ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს გამოსცემს სკოლის დირექტორი, ამ აქტს უნდა გაეცნოს მშობელი, რომელსაც უფლება აქვს გაასაჩივროს იგი. სკოლაში დირექტორისN 2-70 25.02.2019წ . ბრძანებით გამოყოფილია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი. ასევე, მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს მიეწოდებათ ინფორმაცია მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის შესახებ, სადაც მომსახურება უფასოა. მოსწავლეებს დროულად მიეწოდებათ ინფორმაცია ასაკობრივ და გაცდენების გამო ექსტერნატის ფორმით გამოცდის ჩატარების და ექსტერნად რეგისტრაციის ვადების შესახებ. გამოცდების დაწყებამდე მასწავლებლები სათანადო კონსულტაციას უწევენ მათ. აღნიშნული ბრძანების განთავსება ხდება სკოლაში საინფორმაციო დაფაზე. სკოლაში გამოიცემა მოსწავლეების საბაზო და საშუალო საფეხურის დაძლევისა და მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანის ბრძანება. სკოლა განსაზღვრას პირველ კლასში მოსწავლეთა ლიმიტს, რომელიც აისახება ელექტრონულად Eschool-ის ბაზაში.
<u>ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.</u>

5. <u>სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას</u>.

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას; სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, სკოლის ადმინისტრაციისა და სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელდა არაერთი პროექტი, გაიმართა დისკუსიები , გარემოს დაცვის და კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა, ფილმის ჩვენება -განხილვა, ექსკურსიები, სპორტული და ინტელექტუალური შეჯიბრებები. სასწავლო პროექტების შერჩევა ხდება მოსწავლეთა გამოკითხვის საფუძველზე. სკოლაში ფუნქციონირებს იდეატორთა კლუბი, განხორციელდა პროექტი „ პითონი", რომლის ფარგლებშიც ტექნოპარკის მაღალკვალიფიციური სპეციალისტის დახმარებით მოსწავლეებმა ისწავლეს სხვადასხვა კომპიუტერული პროგრამა. დირექციამ განმარტა, რომ ახალი სასწავლო წლიდან გააქტიურდება კლუბების მუშაობა. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

6. <u>მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.</u>

სკოლის დირექტორის განმარტებით, მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს და ცვლილებები შეაქვს მოსწავლეთა მომსახურებაში. მოსწავლეები წერენ რეფლექსიებს გასვლითი გაკვეთილებისა და ექსკურსიების შესახებ.

სკოლაში არაფორმალური განათლების ფარგლებში ფუნქციონირებდა იდეატორთა კლუბი, რომლის მუშაობის დასრულების შემდეგ კლუბის წევრებმა შეაფასეს მუშაობა, რაც საფუძველი გახდება იმისა, რომ მომდევნო წელს განახლდეს კლუბის საქმიანობა გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად. მოსწავლეთა მომსახურეობის ამაღლების მიზნით ახდენენ მოსწავლეთა და მშობელთა ანკეტირებას, სკოლაში ჩატარდა ანკეტური გამოკითხვა. სკოლა გეგმავს უკუკავშირის წერილობითი სახით მიღების მექანიზმის შემუშავებას. ***<u>ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.</u>***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი.
- კლასის დამრიგებლის პორტფოლიო.
- სასკოლო პროექტები.
- ანკეტური გამოკითხვის მასალები.
- საგნობრივი კათედრის ოქმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასკოლო სასწავლო გეგმა.
- შინაგანაწესი.
- კლუბის დებულება,
- ფოტომასალა.
- სასკოლო პროექტების გეგმები, რეფლექსიები. მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის.

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის, რაც გამოიხატება კლასის დამრიგებლების სადამრიგებლო პროგრამებიდან გამომდინარე კარიერული დაგეგმვის მიმართულებით შეხვედრებისა და საუბრების ჩატარებაში, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან შეხვედრებში, საწარმოებსა და ქარხნებში სტუმრობაში. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტთან. სამომავლოდ, პროფორიენტაციის მიმართულებით იგეგმება პროფორიენტაციის გაკვეთილების ისე ორგანიზება, რომ მოხდეს პრაქტიკული საქმიანობის შესწავლა. სკოლა იწვევს სხვადასხვა სასწავლებლის წარმომადგენლებს, რათა მათ მიაწოდონ ინფორმაცია და დაეხმარონ პროფესიული არჩევანის გაკეთებაში. მომავალში სკოლა გეგმავს, რომ კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურეობის ხელმისაწვდომობა გაზარდოს. კერძოდ, პროფესიაში წარმატებული ადამიანების გამოცდილების გასაცნობად

ითანამშრომლებენ სასწავლო დაწესებულებებთან, კვებისა და საყოფაცხოვრებო ობიექტებთან, ახლომდებარე საჯარისო დანაყოფთან, ტურისტულ სააგენტოსთან, მებაღეობა-მეყვავილეობის, კერამიკის, სამკერვალო და სხვა ობიექტებთან. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

2.სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; აცნობს ინფორმაციას ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ ინიცირებულ სიახლეებზე, კერძოდ, ღია კარის დღეს, საგამოცდო ფორმატის ცვლილებების, ახალ პროგრამების, ასევე, სრულ ინფორმაციას პროფესიულ სასწავლებლებზე. სხვადასხვა ორგანიზაციასთან იმართება საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები. 2023-2024 სასწავლო წლიდან დაგეგმილი აქვთ ამ მიმართულებით, კერძოდ საბაზო საფეხურის მე-9 კლასის მოსწავლეებისთვის და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის დაიგეგმოს ვიზიტები და მცირე ბიზნესის წარმომადგენლებთან საწარმოებში. ***აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.***

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.**

სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. აგროვებს ინფორმაციას კურსდამთავრებულთა პროფესიულ არჩევანთან დაკავშირებით, თუ რამდენად აღწევენ ისინი დასახულ მიზნებს. 2023-2024 სასწავლო წლიდან მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, იგეგმება უკუკავშირი მიიღონ სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლიდან, საიდანაც მიიღებენ ინფორმაციას მათ მიერ გაწეული მომსახურეობის ხარვეზებზე, რათა შემდგომ დაგეგმონ აქტივობები მომსახურეობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ***აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუს შედეგები.
- სასკოლო პროექტები.
- ზუგდიდის უნივერსიტეტთან მემორანდუმი.
- კლასის დამრიგებლის პორტფოლიო.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **<u>სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;</u>**

სკოლას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები. კერძოდ სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა ქმნის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმას, სადაც გაწერილია განსახორციელებელი აქტივობები, მათი შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები. სამოქმედო გეგმა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასება და დასკვნის შედგენა, სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის რეგულაცია , მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას და ხელს უწყობს მის განხორციელებას. სკოლის ისგ ჯგუფი შედგება სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებლის, საგნის მასწავლებლების, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს, სპეც. მასწავლებლის, ასევე ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სხვა სპეციალისტებისა და სსსმ მოსწავლის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლისგან. ისგ ჯგუფის შეხვედრაზე განიხილება სსსმ მოსწავლის შესაძლებლობები და საჭიროებები. ბავშვის ემოციური, გონებრივი, ფიზიკური, კოგნიტური, ფსიქო სოციალური თავისებურებების გათვალისწინებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ისგ ჯგუფის სასწავლო წლის განმავლობაში იკრიბება მინიმუმ ოთხჯერ. ხორციელდება ინდივიდუალური გეგმის მონიტორინგი, რა დროსაც ფასდება მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესი, შედეგები, გამოწვევები, სწავლების სტრატეგიების ეფექტურობა. თუ გამოვლინდება საჭიროება რომ ინდივიდუალურ გეგმაში შევიდეს გარკვეული სახის ცვლილება, ამ შემთხვევაში ისგ ჯგუფი იკრიბება დამატებით.
ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისია.

2.სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

სკოლაში თითოეული სსსმ მოსწავლისთვის დირექტორის ბრძანებით იქმნება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ინდ. გეგმების შემუშავებას და განხორციელების ხელშეწყობას.
სკოლას აქვს რესურსოთახი, შესაბამისი რესურსებით, ჰყავს სპეციალური მასწავლებელი. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ისგ ჯგუფის ფორმირება. ისგ ჯგუფის მუშაობა ეფუძნება მასწავლებელთა და მშობლის ერთობლივ საქმიანობას. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომელსაც მონიტორინგს უწევს სასწავლო წლის დასაწყისში შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი. მონიტორინგის ჯგუფი წლის ბოლოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გასაგზავნად ამზადებს დასკვნას, თუ რა გაკეთდა წლის განმავლობაში ინკლუზიური განათლების მხრივ. სასკოლო საზოგადოება აქტიურადაა ჩართული სსსმ მოსწავლეთა სწავლა-განვითარების პროცესში. სსსმ მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა ძირითადად მიმდინარეობს რესურს-ოთახში, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო საგანმანათლებლო და განმავითარებელი რესურსით. ასევე სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხორციელდება სკოლის სხვა სივრცეშიც. სპეციალური მასწავლებელი ახდენს სირთულეების იდენტიფიცირებას და წერილობით ან სიტყვიერ რეკომენდაციას აძლევს საგნის მასწავლებლებს. მათთან ერთად სსსმ მოსწავლის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ქმნის საგანმანათლებლო რესურსებს, როგორებიცაა: ადაპტირებული ტექსტი, ბარათები, ვიზუალური მიმანიშნებელი, ტაქტილური და სენსორული რესურსები. სკოლაში ხორციელდება მოსწავლის ქცევაზე დაკვირვება და ჩანაწერის ანალიზი. საჭიროების შემთხვევაში დგება რთული ქცევის მართვის გეგმა. სსსმ მოსწავლეების განვითარებაზე ზრუნავს მთელი სკოლა. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ინდ. გეგმის შემუშავების ჩარჩო დოკუმენტი;
- რესურსოთახი, შესაბამისი რესურსები;
- სპეციალურ მასწავლებელთან დადებული ხელშეკრულება;
- ინტერვიუს შედეგები.

4.2.4.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. <u>სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);</u>

სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს არასავალდებულო ხასიათის მომსახურეობა. ადმინისტრაციამ განმარტა, რომ ახალი სასწავლო წლიდან იგეგმება სხვადასხვა სერვისის შეთავაზება, რაც სასკოლო საზოგადოების სურვილების გათვალისწინებით განისაზღვრება. ***<u>ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.</u>***

2. <u>სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;</u>

დირექციამ გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სერვისების შესახებ ინფორმაცია გაზიარებული იქნება მშობელთა კრებებზე, განცხადებები გამოიკვრება საინფორმაციო დაფაზე. შესაბამისი საქმიანობა განხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებით, ხელშეკრულებით, რომელიც იდება მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელსა და სკოლას შორის. სკოლის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სასკოლო სასადილო (ბუფეტი), რომელიც იჯარის ფორმით არის გაცემული კანონმდებლობის შესაბამისად. მომსახურეობა ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით.

<u>ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. <u>შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.</u>

სკოლას ამ დროისთვის მოსწავლეებს არ სთავაზობს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურეობას, მაგრამ ადმინისტრაციის განმარტებით, იგეგმება სხვადასხვა მომსახურეობის შეთავაზება და ყველა სახის დამატებითი ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურეობა დადგინდება მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების საფუძველზე. ***<u>ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.</u>***

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- ინტერვიუს შედეგები.
- იჯარით გაცემული ფართის დოკუმენტაცია.(ხელშეკრულება სასკოლო სასადილოსთან(ბუფეტი)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **<u>დაწყებითი საფეხური</u>**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა დოკუმენტი ,,სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ პროექტის სახით, რომელშიც კონკრეტულად და მკაფიოდ არის აღწერილი კურიკულუმის განვითარების პროცესის რეგულაციები. კურიკულუმის განვითარება მოიცავს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ფაზებს. დოკუმენტი კურუკულუმის კონცეპტუალურ და დიზაინის შემუშავების ნაწილში დირექტიული ხასიათისაა, თუმცა კურუკულუმის დანერგვის ნაწილში, სასკოლო საზოგადოების გათვალისწინების ნება იკვეთება. გაწერილია მასწავლებლის, კათედრისა და დირექციის ფუნქციები. აღნიშნავენ, რომ ამ ეტაპზე კურიკულუმის შემუშავების პროცესში ძირითადად გააქტიურებულია კათედრებისა და დირექციის როლი. გეგმავენ, გამართონ შეხვედრები მოსწავლეებთან და მშობლებთან, დაურიგონ კითხვარები, დააკვირდნენ პროცესს და კურიკულუმი განავითარონ მშობელთა და მოსწავლეთა უკუკავშირის ანალიზის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით.

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების საშუალებას რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით და კათედრის წევრებთან გასაუბრებითაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის დამტკიცების პროცესს, წინ უძღვის გასული წლის კურიკულუმის დანერგვის პროცესის შესახებ სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის ანალიზი. სამუშაო ჯგუფი იკვლევს შემდეგ საკითხებს: მოსწავლეთა ჩართულობა და მათი შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრებისა და დირექციის მუშაობა - მიღებული მონაცემების შეჯერების საფუძველზე, სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს, მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად. ამის დასტურად, სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სამოქმედო გეგმა, მოსწავლეთა თვითრეფლექსიის კითხვარები და კათედრის სხდომის ოქმები, სადაც ასახულია კურიკულუმის შემუშავების პროცესი. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრებთან გასაუბრების შემდეგ დასტურდება, რომ სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესს.

ინდიკატორი 3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში დაწვრილებითაა გაწერილი მასწავლებლების, კათედრებისა და, დირექციის წვლილი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ამ დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესები.
სასკოლო კურიკულუმის თითოეული ნაწილი მზადდება პედაგოგიური საბჭოს მიერ, დირექციის ჩართულობითა და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით. სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში და მასწავლებლებთან გასაუბრებით ჩანს , რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რაც ასახულია საგნობრივი ჯგუფების მიერ შევსებულ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში. პროცესები ეყრდნობა როგორც მასწავლებლის თვითრეფლექსიას, ასევე მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირს. გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მოსწავლის ინტერესის შესაბამისად კომპლექსური დავალებების განსაზღვრის პრაქტიკა.
ვიზიტის პროცესში გამოჩნდა, რომ სკოლაში დამკვიდრებულია თანამშრომლობითი კულტურა. მასწავლებლები ურთიერთთანამშრომლობით გეგმავენ საგნობრივ კურიკულუმებს. ისინი იყენებენ თიმსის პლატფორმას, კურიკულუმის შემუშავების პროცესში, მშობელთა ჩართულობისთვის და მათგან უკუკავშირის მისაღებად. სკოლა გეგმავს მშობელთა როლის გაძლიერებას, რაც ასახულია სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი, უპირველეს ყოვლისა, გაზიარებულია მასწავლებელთათვის, რასაც უზრუნველყოფს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია და კურიკულუმის დამტკიცების საკანონმდებლო ჩარჩო - კურიკულუმი თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, ბეჭდვითი მასალები, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია, სოციალური მედია, კრებები, სამუშაო შეხვედრები;
მშობლებთან კურიკულუმის გაზიარების გზად სკოლას გამოყენებული აქვს მათი პირადი ინფორმირება როგორც TEAMS- ის ჯგუფებში, ასევე კლასების მიხედვით facebook - ჯგუფურ ,,ჩათებში''.
სკოლასთან ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმს უზიარებენ არამარტო საგნის, კათედრის ფარგლებში, არამედ სკოლის საერთო დონეზე. იმისათვის, რომ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში აქტიურად იყოს ჩართული სასკოლო საზოგადოება, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს/აკონკრეტებს მასწავლებლის, კათედრის, დირექციის როლს და ასევე მშობელთან კომუნიკაციის ნაწილში მოიაზრებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას.
სკოლა, ემისთან თანამშრომლობით, გეგმავს ვებგვერდის გააქტიურებას, რომლის გამოყენება კურიკულუმების გასაზიარებლად, მეტ გამჭვირვალობასა და საჯაროობას შესძენს პროცესს. ამას ადასტურებს სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და ვებგვერდის შექმნის შესახებ წარმოდგენილი მასალები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი-N10 საჯარო სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-23წწ;
- დანართი- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- დანართი- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- კურიკულუმის-განვითარების მეთოდოლოგია ქ. ზუგდიდის N10 საჯარო სკოლა
- სოლის თვითშეფასების ანგარიში;
- ვიზიტის საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრებთან გასაუბრება;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში ორიენტირება ხდება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგან ისინი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალიწინებულ მოთხოვნებს და სტანდარტით შემოთავაზებული კომპონენტების საშუალებით აღწერს გზას, რომელიც მოსწავლემ სწავლა-სწავლებაში უნდა გაიაროს გრძელვადიანი მიზნების დასაძლევად.

შუალედური სასწავლო მიზნების სახით, ჩადებულია კომპლექსური ბუნების დავალების პირობები, რაც მეტ ყურადღებას სასწავლო პროცესზე ამახვილებს, მოსწავლეს აძლევს ავტონომიურობის განცდას, ხელს უწყობს მისი შინაგანი ძალების გააქტიურებას, მაღალი სააზროვნო უნარებისა და შესრულებული სამუშაოს თვით რეფლექსიის უნარის განვითარებას.
კომპლექსური ბუნების დავალებების გამოყენებით, სკოლა ცოდნის აგების, კონსტრუქტივისტული მიდგომის დანერგვას უწყობს ხელს. კურიკულუმებში შემოთავაზებული დავალებები, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუ აჩვენებს, რომ მოსწავლე აღიარებულია, როგორც სწავლა-სწავლების პროცესის აქტიური სუბიექტი და ცოდნის კონსტრუირების პროცესის წარმმართველი და თითოეულ ეტაპზე გათვალისწინებულია მისი ინტერესები და შესაძლებლობები.

ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალების იდეები მიმართულია გლობალურ-ფუნქციური უნარების, მაკროცნებებისა და სამიზნე ცნებების დამუშავებაზე; სრულად გაწერილ საგნობრივ ჩარჩოებში მკაფიოდ იკითხება შერჩეული კომპონენტების შესაბამისობა გრძელვადიან მიზნებთან. ნათლად ჩანს, თუ რა მასალაზე (დაფიქსირებული რესურსები) დაყრდნობით წარიმართება სწავლება. სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება სავალდებულო თემების ფარგლებში შერჩეული საკითხებით და მათთან დაკავშირებული შესაბამისი კონტექსტ-მაგალითებით;
კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში, კარგად არის გაწერილი შერჩეული მიზნების შესაბამისი საკითხები, თემები და ცნებები. კომპლექსური დავალების პირობები მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის თეორიაზე დაყრდნობით.

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში, ასევე კათედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს: სასწავლო პროცესის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა სურვილები, შესაძლებლობები და უნარები. კურიკულუმში ასახულია მეთოდები და სტრატეგიები, რომელიც გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში: კომპლექსური დავალებებით სწავლების, როგორც შუალედურ მიზანზე მუშაობის მეთოდის გააქტიურებით კურიკულუმი ეპასუხება ეროვნული სასწავლო გეგმის ერთერთ მეთოდოლოგიურ პრინციპს ინკლუზიურობას, რომელის მიხედვითაც დაცულია განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა მოსწავლისათვის. კომპლექსური დავალების პროდუქტების ალტერნატიული ფორმები (ელექტრონული, მატერიალური) ეპასუხება დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, რის მტკიცებულებას წარმოადგენს ის, რომ მოცემულია კომპლექსურ დავალებებში სხვადასხვა შინაარსის და სირთულის აქტივობები, ადაპტირებული დავალებები და მოსწავლეებს ეძლევა არჩევანის გაკეთების საშუალება. კომპლექსური ბუნების დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ადაპტირებული კომპლექსური დავალების ნიმუშები, ეს ადასტურებს, რომ სკოლა, საჭიროების მიხედვით, სასწავლო პროცესში იყენებს ინკლუზიურ მიდგომებს და აღნიშნული წარმოადგენს სკოლაში დამკვიდრებულ პრაქტიკას.

მართალია სასკოლო გეგმა და ინკლუზიური სწავლების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, თუმცა პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სრულყოფილად არ აქვთ ჩამოყალიბებული სწავლების ამგვარი მიდგომების არსი.

ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კომპლექსური დავალების იდეების) და ზეპირი გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, შეფასება მიმართულია გრძელვადიანი მიზნებისკენ და სტანდარტს შეესაბამება. განმავითარებელი შეფასება გამოყენებულია, როგორც

სწავლა-სწავლებისგან განუყოფელი ნაწილი, ძირითადად, ზეპირი კომენტარის სახით. განმავითარებლით შეფასებით ფასდება კომპლექსური დავალების პროდუქტი, რის დასტურადაც დავალების პირობაში ჩაშენებულია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული კრიტერიუმები, ასევე მოცემულია სადიაგნოსტიკო კითხვები, მათ შორის, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასებისთვისაც. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დაწყებით საფეხურზე მხოლოდ მეხუთე კლასის მეორე სემესტრიდან შემოდის განმსაზღვრელი შეფასება.

სკოლამ წარმოადგინა მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი), თუმცა უმეტესობა ზოგადი ხასიათისაა,
ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ აღინიშნა, რომ აქტიურად რთავენ შეფასების პროცესში მოსწავლეს, მიმართავენ როგორც მოსწავლეთა თვითშეფასებას, ისე ურთიერთშეფასებას. მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

ინდიკატორი 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში - „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ გაწერილია, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. ხდება ამ მონაცემების და წინარე გამოცდილების ანალიზი, გათვალისწინებულია ამ ანალიზის დასკვნები, მიგნებები და საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია და გათვალისწინებულია მიღებული გამოცდილება.

მასწავლებლებმა ზეპირ გასაუბრებაში აღწერეს პროცესი, რომელიც ადასტურებს, რომ დაგეგმვის დროს ითვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს, რომელიც სარწმუნო წყაროებიდან (თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, რეფლექსიური კითხვარი...) მოპოვებულ ინფორმაციას ეყრდნობა. წარმოდგენილი სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი და კურიკულუმის მეთოდოლოგია ასევე წარმოაჩენს კურიკულუმის განვითარების პროცესს.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისია, ხედვა, ღირებულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ისტის კურუკულუმები;
- დაწყებითი საფეხურის, პირველი და მეორე უცხო ენების (რუსული, გერმანული) კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკა (უცხო ენები);
- დაწყებითი საფეხურის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (უცხო ენები)
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ინგლისური);
- მე და საზოგადოების და ჩვენი საქართველოს კურიკულუმები;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრებთან გასაუბრება;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2022-2023;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

კურიკულუმები, მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფისთვის, ითვალისწინებს კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელებას. კურიკულუმებში შეტანილია კომპლექსური დავალების პირობები, რომელებიც მოსწავლეებს სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნას ავალდებულებს, როგორიცაა, მაგალითად, დიორამა, პოსტერი, პოვერ პოინტის პრეზენტაცია და სხვა. ასეთი ტიპის კომპლექსური დავალებები მოსწავლის შემოქმედებით უნარებს ავითარებს.
დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები და მასში გაწერილი როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები და სხვადასხვა ღონისძიებები, უზრუნველყოფენ მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით სასწავლო პროცესში ჩართვას,
კურიკულუმის სასწავლო თემებისა და კომპლექსური დავალების პირობების გაანალიზების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა შეძლებს მოსწავლეთა აქტიურად ჩართვას შემომქმედებით სასწავლო პროცესში, შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმს.

ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
დაწყებითი კლასების კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რაც სამიზნე ცნების დამკვიდრების პროცესში, თავისთავად გულისხმობს წინარე ცოდნაზე დაყრდნობას.
კომპლექსური დავალებები აგებულია მოსწავლისთვის უკვე ნაცნობ სასწავლო თემებსა და კონტექსტებზე, რომლებიც, მოსწავლეს, წინარე ცოდნის საფუძველზე, ახლის აგებაში დაეხმარება. კურიკულუმში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები, შინაგანი მზაობა და ინტერესები, რომელიც მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ახალი ცოდნა მანამდე არსებულ, საკუთარ გამოცდილებას დაუკავშიროს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს ნათლად აისახა მათ მიერ წინარე ცოდნის გააქტიურების პრაქტიკის ყოველდღიურ საქმიანობაში გამოყენება და გააზრება. მათი გამოცდილება ცხადყოფს, რომ აქვთ უნარი, ფასილიტაცია გაუწიონ მოსწავლეს ცოდნის აგების პროცესში. სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნას.

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

კურიკულუმებში შეთავაზებულია ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებმაც მოსწავლეები უნდა დააფიქროს სწავლის პროცესზე და წაახალისოს მეტაკოგნიცია. ეს უზრუნველყოფს, რომ სწავლის პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე. კომპლექსური დავალებების მრავლფეროვანი არჩევანი საშუალებას იძლევა, დავალების შესრულების სხვადასხვა ეტაპებზე, მოსწავლეებმა განსხვავებული მეთოდი და სტრატეგია გამოიყენონ და თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი. აქცენტები კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რაომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების გამომუშავებას.
დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში სასწავლო პროცესი დაფუძნებულია კომპლექსური ტიპის დავალებებზე, რომელიც თავისი არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სწავლის სწავლას. კომპლექსური დავალების მოსამზადებელი აქტივობები და მისი წარდგენის ეტაპი გულისხმობს იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, თუ რა სტრატეგიები გამოიყენა დავალების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მოსწავლეები პასუხობენ საკვანძო შეკითხვებს, რომელიც ხელს უწყობს მათ გააკეთონ რეფლექსია დავალებაზე მუშაობის პროცესში, შესაბამისად აქცენტი კეთდება მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე. დავალებები სრულდება ისეთი მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენებით (მონაცემთა შეგროვება და ორგანიზება სქემებში, ტექსტის პაუზებად კითხვის, კითხვა ნიშანთა სისტემით, მნიშვნელოვანი სიტყვები, ჯოგსოუ, სასწავლო გაჩერებები, პროექტული სწავლება, კვლევის განხორციელება, მმმ სტრატეგია და ა. შ.), ასევე ლაბორატორიული სამუშაოები. რომელიც მორგებულია, მოსწავლეთა ინტერესებზე და მათში იწვევს სწავლის მოტივაციას. აქტიურად გამოიყენება ჯგუფური და თანამშრომლობითი სწავლების სტრატეგიები.

ინდიკატორი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

კომპლექსური ტიპის დავალებები არის მოაზრებული, როგორც გზა და საშუალება სამივე კატეგორიის ცოდნის განვითარებისთვის. კურიკულუმები ითვალისწინებს კომპლექსური ტიპის დავალებების განხორციელებას, რაც თავისთავად გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიას. ასევე, კურიკულუმში საკითხები მკაფიოდაა განსაზღვრული , რაც მნიშვნელოვანია ერთი მხრივ გრძელვადიან მიზნებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ორიენტირებისთვის, მეორე მხრივ კი სწავლა-სწავლების ისეთ პრინციპების გასააქტიურებლად, როგორებიცაა - ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) მუშაობა და ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.
ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მასწავლებლები იცნობენ და იყენებენ პრობლემაზე დაფუძნებული დავალებს, მოსწავლეთა ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებისათვის - ისინი არა მხოლოდ ფაქტობრივ მასალას ეცნობიან და ამუშავებენ, არამედ სხვადასხვა ამოცანის გადასაჭრელად, მიღებული ცოდნის ინსტრუმენტად გამოყენება უწევთ. სკოლას აქვს მზაობა, რომ სასწავლო პროცესი ცოდნის სამივე კატეგორიაზე იყოს ორიენტირებული.

ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

კურიკულუმების, სკოლის თვითშეფასების, მასწავლებელთა ინტერვიუების საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. კურიკულუმში თითოეულ სამიზნე ცნებას უკავშირდება მთელი რიგი ქვეცნებები, რომლებიც წარმოაჩენენ საგნობრივი ცოდნის სტრუქტურას. სამიზნე ცნებაზე მუშაობის პროცესში მოხდება ამ ქვეცნებების ერთმანეთთან შედარება, დაპირისპირება და სხვადასხვა ნიშნით კლასიფიცირება, რაც მათ ურთიერთდაკავშირებულ გამოყენებას განაპირობებს. სამიზნე ცნებების დამკვიდრების პროცესი აგებულია შესწავლილი საკითხების გაღრმავებაზე კლასების მიხედვით, და იმგვარად არის მიწოდებული, რომ შესაძლებელია ცოდნის ორგანიზება.

მოსწავლის ცოდნათა დაკავშირებისა და ორგანიზების თვალსაზრისით, კურიკულუმებში, სასწავლო საკითხებს გააჩნიათ ურთიერთმიმართებები. თემები ისე არის დაგეგმილი, რომ გააჩნიათ ცოდნის გამთლიანებისთვის საჭირო ლოგიკური კავშირები. სასწავლო კურიკულუმის გარდა, მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირებისა და ორგანიზებისთვის მოაზრებულია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც ითვალისწინებს გარკვეული პროდუქტის შექმნას, მაგალითად, დიორამა, პოსტერი, პრეზენტაცია და სხვა. ასეთი ტიპის კომპლექსური დავალებები მოსწავლეს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში დაეხმარება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის უცხო ენების კურიკულუმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ისტის კურუკულუმები;
- მე და საზოგადოების და ჩვენი საქართველოს კურიკულუმები;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრებთან გასაუბრება;
- მათემატიკა 1-6 კურიკულუმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო პროექტები;
- საგანმანათლებლო ღონისძიებები;
- ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

წარმოდგენილ კურიკულუმებში სასწავლო საკითხების შერჩევა და დამუშავება ხორციელდება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით, რაც განსაზღვრულია სამიზნე ცნებების სახით.
სამიზნე ცნებები და ქვეცნებები სათანადოდ არის წარმოდგენილი. საგნობრივი საკითხები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით, გათვალისწინებულ სავალდებულო თემებს. სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებსა და სასწავლო თემებს შორის კავშირი სწორად არის დანახული. მასწავლებლებს აქვთ უნარი იხელმძღვანელონ საგნობრივი სტანდარტით და სასწავლო პროცესი წარმართონ ისე, რომ საგნობრივი საკითხების დამუშავებასთან ერთად, მოსწავლის მიერ მიღებული ცოდნის განზოგადება და გრძელვადიანი მიზნებისკენ ორიენტირება უზრუნველყონ, რაც დადასტურდა მათთან გასაუბრების დროს. კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

კურიკულმებში წარმოდგენილია სასწავლო თემები, რომლებიც უკავშირდება მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებსა და გარემოს და კურიკულუმებში შემოთავაზებულია დავალებები, რომელთა შესრულებისათვის მოსწავლეებს სხვადასხვა გამოწვევებთან გამკლავება მოუწევთ, რაც მათ პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას განაპირობებს. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. დაგეგმილი პროექტები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მრავალფეროვანი აქტივობები და რესურსები (როგორც ვირტუალური ლაბორატორიები ასევე სკოლაში არსებული რესურსები) ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.

პედაგოგებთან ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ დავალებაზე, პროექტებზე მუშაობის და საბოლოო პროდუქტის შექმნისას, მოსწავლეს უვითარდება კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა და თანამშრომლობითი უნარები, ასევე მოსწავლე ახდენს თვითაქტუალიზაციას და აზროვნების პროცესების მართვით - თვითრეგულაციას.

ინდიკატორი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესი და შეფასების სისტემა ორიენტირებული მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, გამახვილებულია ყურაღება მოსწავლეზე და მის შედეგზე, მოსწავლის თვითრეალიზებაზე, თვითრეგულაციაზე, მის შესაძლებლობების გამოვლენას და ინტერესების დაკმაყოფილებაზე, მოსწავლის სხვადასხვა უნარების განვითარების ხელშეწყობაზე.
სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, რომლებიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან. სკოლამ წარმოადგინა დაწყებითი საფეხურის კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, შეფასების ზოგადი რუბრიკები - საკლასო, საშინაო და შემაჯამებლ კომპონენტების შესაფასებლად. შემუშავებული შეფასების რუბრიკებით, მაგალითად, ფასდება როგორია მოსწავლის ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, რამდენად აქვს მას მოსმენის კულტურა, იცავს თუ არა ეთიკურ ნორმებს, როგორია მისი საქმიანობა სოციალურ გარემოში (ჯგუფებში მუშაობის დროს). წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, ჰოლისტური შეფასების გარკვეული ელემენტები გაბნეულია შეფასების სხვადასხვა რუბრიკაში.
ინტერვიუების მიხედვით, კათედრის წევრები იდეის გაგება-გაზიარების დონეზე ხსნიან და მხარს უჭერენ შეფასების სისტემის ორიენტირებას მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე.

ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

წარმოდეგნილი მასალების საფუძველზე, როგორიცაა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, პროექტები, კათედრის ოქმი, შემაჯამებლის ანალიზის ფორმა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებული შეფასების სისტემა აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე, თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. მასწავლებლებთან ინტერვიუებით ირკვევა, რომ მოსწავლეები მონაწილებენ რუბრიკების შექმნაში, იცნობენ ამ რუბრიკებს, რომლებიც ხშირად გამოკრულია კლასში, შეფასების რუბრიკები ცნობილია მშობლებისთვისაც. ამჟამად კათედრები მუშაობენ შეფასების ახალი ინსტრუმენტების შექმნაზე, როგორც განმავითარებელი შეფასებისთვის, ასევე განმსაზღვრელი შეფასებისთვის, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება შეფასების ყველა პრინციპი.

ინტერვიუს დროსაც მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ იყენებენ ჰოლისტური შეფასების რუბრიკებს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მათ ასევე მიუთითეს, რომ სკოლა თავის შეფასების სისტემას დააფუძნებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებს. შეფასების ვალიდურობის, გამჭვირვალეობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფისთვის საჭირო ღონისძიებები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმასა და შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტში. შეფასების ზემოთ აღნიშნული პრინციპების დაცვას, ასევე უზრუნველყოფს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კრიტერიუმები შინაარსობრივად დაკავშირებულია სამიზნე ცნებებსა და სტანდარტის შედეგებთან. აქედან გამომდინარე, სკოლა აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმს.

ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა, შეფასების სისტემის მექანიზმების განსაზღვრისას ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი ახორციელებს შეფასების ვერიფიკაციას სამი მიმართულებით: მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია. წინასწარ განსაზღვრულ რისკ-ფაქტორებთან მიმართებაში, ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი განახორციელებს შეფასების პროცესისა და ინსტრუმენტების ვერიფიკაციას შერჩევითი პრინციპით. ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნა ეგზავნება სკოლის დირექტორს რეაგირებისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი მონიტორინგს უწევს რეკომენდაციების შესრულებას.
მისაღწევი შედეგისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, მასწავლებლებს გააჩნიათ შეფასების ინსტრუმენტების გადახედვა/შეცვლის პრაქტიკა. შეფასების სისტემის გარე ვერიფიკაციის მექანიზმად სკოლა განიხილავს სხვადასხვა კონკურსებსა და ოლიმპიადებში მოსწავლეთა შედეგებს. შიდა ვერიფიკაციის მექანიზმად კათედრებზე ჩატარებულ წამახალისებელ კონკურსებს მოიაზრებს, სადაც მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ საკუთარი სურვილების შესაბამისად და არაფორმალურ გარემოში მოხდება მათი ცოდნისა და უნარების შემოწმება.

სკოლა სამომავლოდ გეგმავს დანერგოს სადიაგნოსტიკო შეფასების პრაქტიკა. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ინდიკატორი 6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

კათერდის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას, არსებული ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, ასევე მოსწავლის პირად საქმეში. ინფორმაცია დაცულია და ინფორმაციის გაცემა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით .

სკოლაში ინახება მოსწავლეთა სემესტრული, წლიური და საფეხურის ნიშნები როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. ინფორმაციის ასახვა ხდება მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სამომავლოდაც დოკუმენტაციის შენახვას და დამუშავებას გააგრძელებენ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლა საუბრობს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის და მტკიცებულებების სახით სკოლაში ინახება საკლასო ჟურნალები მატერიალური სახით. 2021-2022 სასწავლო წლიდან კი ელექტრონული ჟურნალების სახით. სკოლაში ასევე ინახება მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის უცხო ენების კურიკულუმები;
- დაწყებითი საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები (უცხო ენები);
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი;
- მე და საზოგადოების და ჩვენი საქართველოს კურიკულუმები;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრებთან გასაუბრება;
- მათემატიკა 1-6 სასკოლო კურიკულუმი;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სკოლის ფილოსოფიაში გაზიარებულია სასწავლო პროცესში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს უზრუნველყოფის ვალდებულება. სასკოლო ინფრასტრუქტურასთან ერთად, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტების (სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა, სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი) საფუძველზე სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მოსწავლის მხარდამჭერი გარემოს შექმნას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა და კათედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლაში შექმნილი პოზიტიური სასწავლო გარემო; მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ ერთობლივად დაგეგმილი აქტივობები, რომელშიც მოსწავლე არის სუბიექტი და არა ობიექტი. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებანი; ასევე უზრუნველყოფილია გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამომუშავების ხელშეწყობა, რაც კათედრაზე კომპლექსური დავალებების სწავლებითაა შესაძლებელი. იგი იკითხება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზსა და ანგარიშში მოსწავლეებისა და მასწავლებლის დონეზე, რის მტკიცებულებად პედაგოგიური საბჭოსა და კათედრის ოქმებია წარმოდგენილი. გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურა, იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.

ინდიკატორი 2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

წარმოდგენილი მასალების ანალიზიდან, კურიკულუმების განხილვისას, კათედრის წევრებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის ინდივიდუალური, ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლები, შესაძლებლობები, უნარები, ინტერესები, საჭიროებები და სწავლის სტილი და ამავე დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა აქტივობებში, ოლიმპიადებში, კონფერენციებში, პროექტებში და ა შ. , სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. ეს ყველაფერი ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი სკოლაში მიმდინარეობს მოსწავლეზე ორიენტირებულად;

კურიკულუმები მოიცავს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებებს), მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და ინტერესებისთვის შესაბამის სასწავლო თემებსა და მრავალფეროვან კომპლექსურ დავალებებს. ვიზიტის დროს, გამოიკვეთა, რომ პედაგოგები იყენებენ კონსტრუქტივისტული სწავლების პრინციპებს (წინარე ცოდნაზე დაფუძნება, დიფერენცირებული მიდგომა, მეტაკოგნიტური უნარების განვითარება და სხვა), რომელიც მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. სკოლა, კომპლექსური დავალებების დანერგვით, უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში. მოსწავლეები არა მხოლოდ აქტიურად მონაწილეობენ განათლების მიღების პროცესში, არამედ საშუალება აქვთ, ერთმანეთს დაეხმარონ და მონაწილეობა მიიღონ თანატოლების სწავლა-სწავლების პროცესშიც. სკოლას ამ საფეხურე აქვს გამოცდილება Gpried-ის პროექტის ფარგლებში მასწავლებლის მიერ პერიოდული გამოკითხვებისა და დიაგნოსტიკური შეფასებების განხორციელებისა, რაც სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებას უზრუნველყოფს.
ასევე, სკოლას ყოველწლიურად აქვს კლუბური მუშაობის პრაქტიკა . მასწავლებელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ 2022-2023 სასწავლო წლიდან ფუნქციონირებს პროგრამირების (პითონი) კლუბი და წელს იგეგმება გრაფიკული დიზაინის კლუბის ამუშავება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებსაა მორგებული.

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სკოლის დოკუმენტაციებში წარმოდგენილია და კათედრის წევრებთან გასაუბრებისას დასტურდება, რომ დამკვიდრებულია თანამშრომლობითი კულტურა. სასკოლო საზოგადოებას აერთიანებს საერთო ღირებულებები და ინტერესები. სასწავლო პროცესი ხორციელდება თანამშრომლობითი პრინციპების დაცვით, რაც ხელს უწყობს სამართლიანი და თანასწორუფლებიანი სამუშაო გარემოს შექმნას და პროცესში ჩართული ან დაინტერესებული პირების უფლებებისა და ინტერესების დაცვას; კათედრის წევრები ერთობლივად შეიმუშავებენ სასკოლო კურიკულუმებს, რაც გულისხმობს როგორც კურიკულუმების ჩარჩოს შემუშავების, ისე კურიკულუმის განხორციელების პროცესში მასწავლებლების მიერ სამუშაო შეხვედრათა დაორგანიზებას. აღნიშნული კი დასტურდება კათედრის მუშაობის ოქმებში. კათედრის წევრები უზიარებენ ერთმანეთს პროფესიულ გამოცდილებას. სასწავლო პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს და აძლევენ უკუკავშირს. USAID - დაწყებითი განათლების პროგრამის ფარგლებში ლიდერი მასწავლებლების ხელმძღვანელობითა და აქტიური თანამშრომლობით ფუნქციონირებს სასწავლო ჯგუფები.

სკოლა აცნობიერებს, რომ თანამშრომლობა და გუნდურობა ამ მრავალფეროვნებას აქცევს მნიშვნელოვან პლატფორმად მოსწავლეზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მისაღებად. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ინდიკატორი 4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები, პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფის მიმართულებით.

ამ და სხვა დოკუმენტებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლაში დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურა, რწმენების, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების გაზიარებული სისტემა, ქმნის ურთიერთობის ისეთ ფორმას, რომელიც მისაღები და გაზიარებულია მათვის და აყალიბებს ისეთ ნორმებს და წესებს, რომლებიც უზრუნველყოფს პოზიტიურ კლიმატის შექმნას, როგორც სკოლის ასევე კლასის დონეზე. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სკოლა წარმოადგენს კეთილგანწყობილ დაწესებულებას, სასკოლო საზოგადოებისათვის. შექმნილია უსაფრთხო, მზრუნველი და მოწესრიგებული სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გარემო. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, სკოლაში მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, დირექციასთან და მშობლებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლაში ვიზიტის დროს, სამუშაო სივრცის გაცნობის და მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, სკოლას გააზრებული აქვს, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამოკიდებულება საკლასო ატმოსფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. ყურადღებიანი, ემპათიური და მეგობრული მასწავლებელი დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე. მასწავლებელი მოსწავლეს უდგება როგორც ინდივიდს თავისი საჭიროებით, სურვილებითა და ინტერესებით. მოსწავლეს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი და დასვას მისთვის საინტერესო კითხვები. სასწავლო პროცესში მოსწავლეები და მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. პედაგოგები ასევე საუბრობენ პოზიტიურ საკლასო გარემოს მნიშვნელობაზე. სკოლა ცდილობს შემქნას პოზიტიური ფიზიკური გარემო, მოსწავლეებს შესთავაზოს მრავალფეროვანი რესურსები და დაამკვიდროს ურთიერთობის წესები ჯანსაღი ატმოსფეროს შესაქმნელად. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- მე და საზოგადოების და ჩვენი საქართველოს კურიკულუმები;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრებთან გასაუბრება;
- მათემატიკა 1-6 სასკოლო კურიკულუმი;

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლასა და მშობელს შორის დადებული ხელშეკრულება;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც თავისთავად თანხვედრაშია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გაწერილი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების პროცესში სტრატეგიული /სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას განახორციელებს ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პროცესების მონიტორინგზე, ინტესივობაზე, მონაცემების ანალიზსა და დამუშავებაზე. ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით რეაგირებაზე. შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებისას.
პროცესი ეფუძნება კათედრის წევრებსა და დირექციას შორის. სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შექმნას, კითხვარების შედგენას მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის, რომელზეც დაყრდნობითაც გააკეთებენ SWOT-ანალიზს, რომელიც ხელს შეუწყობს, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგი და შეფასება. სკოლა აკმაყოფილებს მოცემულ ინდიკატორს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, მათი მუშაობის პროცესი მიმდინარეობს შემუშავებული დებულების შესაბამისად, სასკოლო საზოგადოების განვითარებისა და მხარდაჭერისთვის. რის შედეგად სკოლაში მიმდინარეობს მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. პედაგოგები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს, რეკომენდაციებს. ამ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. ასევე ანალოგიურ პროცესს ახორციელებენ ადმინისტრაციის წევრები საფეხურებისა და კლასების მიხედვით. მონიტორინგის შედეგები გამოიყენება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისა და განვითარებისათვის. პედაგოგები თანამშრომლობენ როგორც კათედრის ფარგლებში, ასევე მომიჯნავე კათედრებთან - ესწრებიან გაკვეთილებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას.
უზიარებენ გამოცდილებას, ხოლო მოსწავლესთან მიმართებაში საჭიროების მიხედვით იყენებენ დიფერენცირებულ სწავლებას. სკოლა აკმაყოფილებს მოცემულ ინდიკატორს.

ინდიკატორი 3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში - სასკოლო სასწავლო გეგმასა და კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში, ასევე სტრატეგიულ და სამოქმედო მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ მონიტორინგი და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება, ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემის გადაჭრისთვის, სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის. იგივე დასტურდება კათედრის წევრებთან გასაუბრებითაც.

სკოლა, კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგის გზით, მიზნად ისახავს გამოვლენილი პრობლემების გადაჭრასა და რეკომენდაციების პაკეტის შემუშავებას, რომელიც გამოყენებული იქნება ახალ სასწავლო წელს უკეთესი სასწავლო შედეგების მისაღებად, რაც სრულად შეესაბამება ინდიკატორს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- უცხო ენების კათედრის შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმები;
- უცხო ენების კათედრის გაკვეთილზე დასწრების ფორმა;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრებთან გასაუბრება;
- შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- მათემატიკა 1-6 სასკოლო კურიკულუმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

როგორც წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმებიდან, სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდან, წლიური სამუშაო გეგმიდან, და მასწავლებლების მიერ გაზიარებული გამოცდილებიდან დასტურდება, სკოლა სასწავლო პროცესის შეფასებას აფუძნებს კონსტრუქტივისტულ მიდგომებს, რომლის მიზანია, როგორც მოსწავლის ცოდნის დონის დადგენა, ისე მისი დახმარება საკუთარი სწავლის გაუმჯობესებაში. ამ მიზნით მოსწავლეთა შეფასებისთვის იყენებენ მრავალფეროვან წყაროებს: სასწავლო პროცესზე დაკვირვება, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები, სადიაგნოსტიკო კითხვები, თვითშეფასება და ურთიერთშეფასება და ა.შ.
სკოლამ წარმოადგინა მათ მიერ შექმნილ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მრავალფეროვან რუბრიკები, რომელთა დახმარებითაც ხდება მოსწავლის აკადემიური მოსწრების დინამიკაზე დაკვირვება, რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

შეფასება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების, მათი მკვიდრი წარმოდგენების, თემატური შედეგების, კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინებით, შეფასება მიზანმიმართულია 6 ფუნქციურ -კომპონენტური უნარის განვითარების ხელშეწყობაზე. დოკუმენტებში გაწერილია და კათედრის წევრებთან გასაუბრებაც ადასტურებს, რომ შეფასება ხორციელდება იმის შესაბამისად, რამდენად მოახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში. ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.
სკოლა მოსწავლეებს სხვადასხვა სასწავლო კონტექსტში აფასებს, რისთვისაც იყენებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, როგორიცაა კომპლექსური დავალების, გაკვეთილზე ჩართულობის, ჯგუფური მუშაობის, საკლასო დავალების, საშინაო დავალების, დისკუსიის, მოსმენის დავალების, ესეს, ზეპირი პრეზენტაციისა და სხვა შეფასების რუბრიკები.

სკოლას აქვს გამოცდილება, კურიკულუმის შეფასებისას გამოიყენოს მასწავლებლის თვითშეფასება, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა გამოკითხვა, თუ რა შეძლეს და სად სჭირდებათ დახმარება. ასევე კათედრაზე, სამუშაო ჯგუფებში, მასწავლებლებთან, მშობლებთან, საგნობრივ ექსპერტებთან საერთო შეხვედრებზე გამოკვეთილი კურიკულუმის დანერგვის პროცესში შექმნილი სირთულეების გათვალისწინება ახალი კურიკულუმის შექმნისას, არის დასტური იმისა, რომ სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სასწავლო პროცესის შეფასებისთვის მონაცემების შეგროვების მეთოდად ითვალისწინებს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით. სკოლა თავის თვითშეფასების ანგარიშში მიუთითებს, რომ გამოიყენებს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც ტრადიციულ, ასევე, ახალი სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტებს - მოსწავლის დაკვირვებას, ფოკუს ჯგუფსა და ჩაღრმავებულ ინტერვიუს; რაოდენობრივ და თვისობრივი კვლევებს, რომელშიც ჩართული იქნებიან მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები; პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა უკუკავშირი, მშობელთა უკუკავშირი, პედაგოგთა სამუშაო შეხვედრებზე განხორციელებული აქტივობების ანალიზი, მოსწავლეთა ნამუშევრების (შემაჯამებელი წერების, კომპლექსური დავალებების და სხვა.) ანალიზი, რაც ადასტურებს, რომ სკოლა შეფასებისას იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ინდიკატორი 4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი რუბრიკებიდან, კურიკულუმების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიიდან დასტურდება, რომ შეფასება მიმდინარეობს მოსწავლეთა თვითშეფასების, მოტივაციის, ჩართულობის, ურთიერთანამშრომლობის ფაქტორების გათვალისწინებით. სკოლა შეფასებისას ეყრდნობა, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებს, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სოციალურ ფაქტორებს. ინტერვიუზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკები საგანში ის ეფექტური ინსტრუმენტებია, რომელიც გამოიყენება როგორც მოსწავლეების ნამუშევრის, ასევე მუშაობის პროცესის შეფასების მიზნით. სწორედ ასეთი რუბრიკის გამოყენება იძლევა ისეთი სამუშაოს შეფასების საშუალებას, როგორიცაა მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციები, წერითი ნამუშევრები, კომპლექსური დავალებების დაძლევის ხარისხი. ასევე გასათვალისწინებელია, რომ მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს, არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან, იქნება ეს მეზო, ეგზო, მაკრო, თუ სხვა, რაც დამრიგებელთა მუშაობის ანალიზში ამოიკითხება.

სკოლა თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნავს, რომ სამომავლოდ აპირებს სასწავლო პროცესის შეფასების დროს მეტად გაითვალისწინოს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა გარემო, დროის მენეჯმენტი, რესურსების უქონლობა და მოსწავლის ფსიქო-ემოციური ფონი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- უცხო ენების შეფასების რუბრიკები;
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრებთან გასაუბრება;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

წარმოდგენილ დოკუმენტში „კურიკულუმის-განვითარების მეთოდოლოგია“ გაწერილია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად; რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად და ჩაიშლება განახლებულ კურიკულუმსა და სამოქმედო გეგმაში. ამის დასტურია კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტები.
მასწავლებლებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ ეს პრინციპები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლა ჩართულია ზოგადი განათლების რეფორმის პროცესში და სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას მუდმივად იღებს საგნობრივი ექსპერტებისა და ავტორიზაციის პროცესებში მხარდამჭერი ჯგუფის რეკომენდაციებს. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ინდიკატორი 2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

კურიკულუმის წარმოდგენილი ვერსია გარკვეულწილად ეფუძნება წინარე გამოცდილებას, რადგან სკოლაში არსებობს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, ეს შესაძლებლობას იძლევა, მოხდეს კურიკულუმების გადასინჯვა და მისი გაუმჯობესება; კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, მომდევნო წლის კურიკულუმი მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების გათვალისწინებით იქნება შემუშავებული, შესაბამისად დაეფუძნება წინარე გამოცდილებას. ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია გაკვეთილზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილი მიგნებები, რაც კათედრის წევრებთან გასაუბრებიდანაც დასტურდება. სკოლა აკმაყოფილებს კრიტერიუმს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- მე და საზოგადოების და ჩვენი საქართველოს კურიკულუმები;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრებთან გასაუბრება;
- სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **<u>საბაზო საფეხური</u>**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა დოკუმენტი ,,სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ პროექტის სახით, რომელშიც კონკრეტულად და მკაფიოდ არის აღწერილი კურიკულუმის განვითარების პროცესის რეგულაციები. კურიკულუმის განვითარება მოიცავს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ფაზებს. დოკუმენტი კურუკულუმის კონცეპტუალურ და დიზაინის შემუშავების ნაწილში დირექტიული ხასიათისაა, თუმცა კურუკულუმის დანერგვის ნაწილში, სასკოლო საზოგადოების გათვალისწინების ნება იკვეთება. გაწერილია მასწავლებლის, კათედრისა და დირექციის ფუნქციები. აღნიშნავენ, რომ ამ ეტაპზე კურიკულუმის შემუშავების პროცესში ძირითადად გააქტიურებულია კათედრებისა და დირექციის როლი. გეგმავენ, გამართონ შეხვედრები მოსწავლეებთან და მშობლებთან, დაურიგონ კითხვარები, დააკვირდნენ პროცესს და კურიკულუმი განავითარონ მშობელთა და მოსწავლეთა უკუკავშირის ანალიზის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით.
კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების საშუალებას რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით და კათედრის წევრებთან გასაუბრებითაც.

ინდიკატორი 2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის დამტკიცების პროცესს, წინ უძღვის გასული წლის კურიკულუმის დანერგვის პროცესის შესახებ სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის ანალიზი. სამუშაო ჯგუფი იკვლევს შემდეგ საკითხებს: მოსწავლეთა ჩართულობა და მათი შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრებისა და დირექციის მუშაობა - მიღებული მონაცემების შეჯერების საფუძველზე, სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს, მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად. ამის დასტურად, სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სამოქმედო გეგმა, მოსწავლეთა თვითრეფლექსიის კითხვარები და კათედრის სხდომის ოქმები, სადაც ასახულია კურიკულუმის შემუშავების პროცესი. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრებთან გასაუბრების შემდეგ დასტურდება, რომ სკოლა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესს.

ინდიკატორი 3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში დაწვრილებითაა გაწერილი მასწავლებლების, კათედრებისა და, დირექციის წვლილი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ამ დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესები.

სასკოლო კურიკულუმის თითოეული ნაწილი მზადდება პედაგოგიური საბჭოს მიერ, დირექციის ჩართულობითა და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით. სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში და მასწავლებლებთან გასაუბრებით ჩანს , რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რაც ასახულია საგნობრივი ჯგუფების მიერ შევსებულ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში. პროცესები ეყრდნობა როგორც მასწავლებლის თვითრეფლექსიას, ასევე მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირს. გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მოსწავლის ინტერესის შესაბამისად კომპლექსური დავალებების განსაზღვრის პრაქტიკა.

ვიზიტის პროცესში გამოჩნდა, რომ სკოლაში დამკვიდრებულია თანამშრომლობითი კულტურა. მასწავლებლები ურთიერთთანამშრომლობით გეგმავენ საგნობრივ კურიკულუმებს. ისინი იყენებენ თიმსის პლატფორმას, კურიკულუმის შემუშავების პროცესში, მშობელთა ჩართულობისთვის და მათგან უკუკავშირის მისაღებად. სკოლა გეგმავს მშობელთა როლის გაძლიერებას, რაც ასახულია სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში.

ინდიკატორი 4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმი, უპირველეს ყოვლისა, გაზიარებულია მასწავლებელთათვის, რასაც უზრუნველყოფს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია და კურიკულუმის დამტკიცების საკანონმდებლო ჩარჩო - კურიკულუმი თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, ბეჭდვითი მასალები, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია, სოციალური მედია, კრებები, სამუშაო შეხვედრები;
მშობლებთან კურიკულუმის გაზიარების გზად სკოლას გამოყენებული აქვს მათი პირადი ინფორმირება როგორც TEAMS- ის ჯგუფებში, ასევე კლასების მიხედვით facebook - ჯგუფურ ,,ჩათებში''.
სკოლასთან ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმს უზიარებენ არამარტო საგნის, კათრედრის ფარგლებში, არამედ სკოლის საერთო დონეზე. იმისათვის, რომ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში აქტიურად იყოს ჩართული სასკოლო საზოგადოება, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს/აკონკრეტებს მასწავლებლის, კათედრის, დირექციის როლს და ასევე მშობელთან კომუნიკაციის ნაწილში მოიაზრებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას.
სკოლა, ემისთან თანამშრომლობით, გეგმავს ვებგვერდის გააქტიურებას, რომლის გამოყენება კურიკულუმების გასაზიარებლად, მეტ გამჭვირვალობასა და საჯაროობას შესძენს პროცესს. ამას ადასტურებს სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და ვებგვერდის შექმნის შესახებ წარმოდგენილი მასალები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში;
- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები და სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
-

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგან ისინი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალიწინებულ მოთხოვნებს და სტანდარტით შემოთავაზებული კომპონენტების საშუალებით აღწერს გზას, რომელიც მოსწავლემ სწავლა-სწავლებაში უნდა გაიაროს.
კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში ორიენტირება ხდება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, წარმოდგენილია თემატური ბლოკების მიხედვით თემები, თემებთან დაკავშირებული საკითხი, გამოყოფილია სამიზნე ცნენები და ის ქვეცნებები, რომელებიც მუშავდება საკითხთან და თემასთან მიმართებით, წინასწარაა გაწერილი კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისადაა შერჩეული.
კურიკულუმებში შემოთავაზებული დავალებები, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუ აჩვენებს, რომ მოსწავლე აღიარებულია, როგორც სწავლა-სწავლების პროცესის აქტიური სუბიექტი, ცოდნის კონსტრუირების პროცესის წარმმართველი. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს, წაახალისებს მათ ინიციატივებს, სთავაზობს დავალებებს, რომლებიც მათი მოტივაციის აღძვრასა და შინაგანი ძალების გააქტიურებას, ცოდნათა ორგანიზებას უწყობს ხელს. წაახალისებს მოსწავლეთა რეფლექსიას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში, კარგად არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრული საგნების სამიზნე ცნებები-

გრძელვადიანი მიზნები, შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები, განსაზღვრულია ყველა სამიზნე ცნების დამუშავება. კომპლექსური დავალების პირობები მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის თეორიაზე დაყრდნობით.
საბაზო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია სასწავლო თემები, რომლებიც ადვილად შეიძლება დაუკავშირდეს გლობალურ ფუნქციურ უნარებს (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ხასიათი/ნებელობა, მოქალაქეობა). კურუკულუმებში ჩადებულია კომპლექსური დავალების პირობები, რომლებიც საგნობრივ შინაარსის გამტკიცებასთან ერთად, აქტიურად უწყობს ხელს მოსწავლეებში ზემოთ აღნიშნული მაკრო ცნებების განვითარებას.
მოცემული კომპლექსური დავალებები, ერთი მხრივ მიემართება საგნობრივ სავალდებულო თემატურ ჩარჩოს, მეორეს მხრივ კი ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას, შემოქმედებითობას, მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას და ა.შ.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

კურიკულუმში დაგეგმილია კომპლექსური ბუნების დავალებები, რაც განათლების თანამედროვე პარადიგმების განხორციელების საშუალებას იძლევა, ეს კი თავისთავად გულისხმობს თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირებულობას. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში, ასევე კათედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს: სასწავლო პროცესის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა სურვილები, შესაძლებლობები და უნარები. კურიკულუმში ასახულია მეთოდები და სტრატეგიები, რომელიც გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში: კომპლექსური დავალებებით სწავლების, როგორც შუალედურ მიზანზე მუშაობის მეთოდის გააქტიურებით კურიკულუმი ეპასუხება ეროვნული სასწავლო გეგმის ერთერთ მეთოდოლოგიურ პრინციპს ინკლუზიურობას, რომელის მიხედვითაც დაცულია განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა მოსწავლისათვის. კომპლექსური დავალების პროდუქტების ალტერნატიული ფორმები (ელექტრონული, მატერიალური) ეპასუხება დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, რის მტკიცებულებას წარმოადგენს ის, რომ მოცემულია კომპლექსურ დავალებებში სხვადასხვა შინაარსის და სირთულის აქტივობები, ადაპტირებული დავალებები და მოსწავლეებს ეძლევა არჩევანის გაკეთების საშუალება. კომპლექსური ბუნების დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ადაპტირებული კომპლექსური დავალების ნიმუშები, ეს ადასტურებს, რომ სკოლა, საჭიროების მიხედვით, სასწავლო პროცესში იყენებს ინკლუზიურ მიდგომებს და აღნიშნული წარმოადგენს სკოლაში დამკვიდრებულ პრაქტიკას.

მართალია სასკოლო გეგმა და ინკლუზიური სწავლების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, თუმცა პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სრულყოფილად არ აქვთ ჩამოყალიბებული სწავლების ამგვარი მიდგომების არსი.

ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებში გაწერილია მოსწავლის შეფასების ამოცანები და მიზნები. მოსწავლეთა შეფასებას უკავშირებენ არა მხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც. ამის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. რის საფუძველზეც წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და შეფასება მიმდინარეობს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული ამ რუბრიკებზე დაფუძნებით. მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგან ისინი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალიწინებულ მოთხოვნებს და სტანდარტით შემოთავაზებული კომპონენტების საშუალებით აღწერს გზას, რომელიც მოსწავლემ სწავლა-სწავლებაში უნდა გაიაროს.
კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში ორიენტირება ხდება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, წარმოდგენილია თემატური ბლოკების მიხედვით თემები, თემებთან დაკავშირებული საკითხი, გამოყოფილია სამიზნე ცნენები და ის ქვეცნებები, რომელებიც მუშავდება საკითხთან და თემასთან მიმართებით, წინასწარაა გაწერილი კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისადაა შერჩეული.
კურიკულუმებში შემოთავაზებული დავალებები, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუ აჩვენებს, რომ მოსწავლე აღიარებულია, როგორც სწავლა-სწავლების პროცესის აქტიური სუბიექტი, ცოდნის კონსტრუირების პროცესის წარმმართველი. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს, წაახალისებს მათ ინიციატივებს, სთავაზობს დავალებებს, რომლებიც მათი მოტივაციის აღძვრასა და შინაგანი ძალების გააქტიურებას, ცოდნათა ორგანიზებას უწყობს ხელს. წაახალისებს მოსწავლეთა რეფლექსიას.
აღსანიშნავია, რომ საშუალო საფეხურის, უცხო ენების კურიკულუმებში, შუალედურ მიზნებად სკოლას ჩადებული აქვს მცირე რაოდენობის კომპლექსური დავალების პირობები. ვიზიტის დროს, აღინიშნა, რომ კურიკულუმი ჯერ კიდევ დაგეგმვის პროცესშია და საბოლოო დამტკიცებამდე შეავსებენ მეტი კომპლექსური დავალებით. ასევე, ე.ს.გ. გეგმით გათვალისწინებული ფიზიკური აღზრდის და სპორტის საშუალო საფეხურის კურიკულუმები საჭიროებს ნაწილობრივ გადამუშავებას, კერძოდ თეორიული თემების შეტანას 10-12 კლასში და სავალდებულო თემის მძლეოსნობის შეტანას სასწავლო პროცესში. რისი მზაობაც გამოხატა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგმა, კათედრასთან ერთად.

სავალდებულო პროექტული სწავლების კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში ორიენტირება ხდება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, წარმოდგენილია ორი პროექტი, რომლესაც მოსწავლეები მეათზე კლასში განახორციელებენ, მეთერთმეტე კლასში პროექტული სწავლება მუსიკას განხორციელდება, რომლის კურიკულუმზე ამჟამად მიმდიანარეობს მუშაობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში, კარგად არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული საგნების სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები, შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები, განსაზღვრულია ყველა სამიზნე ცნების დამუშავება. კომპლექსური დავალების პირობები მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის თეორიაზე დაყრდნობით.

საბაზო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია სასწავლო თემები, რომლებიც ადვილად შეიძლება დაუკავშირდეს გლობალურ ფუნქციურ უნარებს (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ხასიათი/ნებელობა, მოქალაქეობა). კურუკულუმებში ჩადებულია კომპლექსური დავალების პირობები, რომლებიც საგნობრივ შინაარსის გამტკიცებასთან ერთად, აქტიურად უწყობს ხელს მოსწავლეებში ზემოთ აღნიშნული მაკრო ცნებების განვითარებას.

მოცემული კომპლექსური დავალებები, ერთი მხრივ მიემართება საგნობრივ სავალდებულო თემატურ ჩარჩოს, მეორეს მხრივ კი ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას, შემოქმედებითობას, მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას და ა.შ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

კურიკულუმში დაგეგმილია კომპლექსური ბუნების დავალებები, რაც განათლების თანამედროვე პარადიგმების განხორციელების საშუალებას იძლევა, ეს კი თავისთავად გულისხმობს თითოეულ მოსწავლეზე ორიენტირებულობას. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში, ასევე კათედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება , რომ სასწავლო პროცესში იყენებენ დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს: სასწავლო პროცესის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა სურვილები, შესაძლებლობები და უნარები. კურიკულუმში ასახულია მეთოდები და სტრატეგიები, რომელიც გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესში: კომპლექსური დავალებებით სწავლების, როგორც შუალედურ მიზანზე მუშაობის მეთოდის გააქტიურებით კურიკულუმი ეპასუხება ეროვნული სასწავლო გეგმის ერთერთ მეთოდოლოგიურ პრინციპს _ინკლუზიურობას, რომელის მიხედვითაც დაცულია განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა მოსწავლისათვის. კომპლექსური დავალების პროდუქტების ალტერნატიული ფორმები (ელექტრონული, მატერიალური) ეპასუხება დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, რის მტკიცებულებას წარმოადგენს ის, რომ მოცემულია კომპლექსურ დავალებებში სხვადასხვა შინაარსის და სირთულის აქტივობები, ადაპტირებული დავალებები და მოსწავლეებს ეძლევა არჩევანის გაკეთების საშუალება. კომპლექსური ბუნების დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ადაპტირებული კომპლექსური დავალების ნიმუშები, ეს ადასტურებს, რომ სკოლა, საჭიროების მიხედვით, სასწავლო პროცესში იყენებს ინკლუზიურ მიდგომებს და აღნიშნული წარმოადგენს სკოლაში დამკვიდრებულ პრაქტიკას.

მართალია სასკოლო გეგმა და ინკლუზიური სწავლების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, თუმცა პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სრულყოფილად არ აქვთ ჩამოყალიბებული სწავლების ამგვარი მიდგომების არსი. სკოლას აქვს მზაობა, სასწავლო წლის დაწყებამდე, სიღრმისეულად გაეცნოს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს.

ინდიკატორი 4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კომპლექსური დავალების იდეების, შეფასების სხვადასხვა რუბრიკების) და ზეპირი გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, შეფასება მიმართულია გრძელვადიანი მიზნებისკენ, განმავითარებელი შეფასება გამოყენებულია, როგორც სწავლა-სწავლებისგან განუყოფელი ნაწილი, იქნება ის გამოყენებული ზეპირი კომენტარის, ეგრეთწოდებული, მოლოდინების რუბრიკის, თუ შემაჯამებელი დავალებისთვის სტანდარტში მოცემულ თემის შეფასების ინდიკატორებზე დაფუძნებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის სახით, რომელთა დანართებიც სკოლამ წარმოდგინა. განმავითარებელი შეფასებით ფასდება კომპლექსური დავალების პროდუქტი, რის დასტურადაც დავალების პირობაში ჩაშენებულია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული კრიტერიუმები, ასევე მოცემულია სადიაგნოსტიკო კითხვები, მათ შორის, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასებისთვისაც. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სკოლას არჩეული აქვს შეფასების პირველი მოდელი. იგეგმება 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა და ყოველი კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი რუბრიკების შექმნა. სკოლას აქვს მზაობა, რომ გამოყენებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება სრულად მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში - „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ გაწერილია, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. ხდება ამ მონაცემების და წინარე გამოცდილების ანალიზი, გათვალისწინებულია ამ ანალიზის დასკვნები, მიგნებები და საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია და გათვალისწინებულია მიღებული გამოცდილება.

მასწავლებლებმა ზეპირ გასაუბრებაში აღწერეს პროცესი, რომელიც ადასტურებს, რომ დაგეგმვის დროს ითვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს, რომელიც სარწმუნო წყაროებიდან (თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, რეფლექსიური კითხვარი...)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოპოვებულ ინფორმაციას ეყრდნობა. წარმოდგენილი სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი და კურიკულუმის მეთოდოლოგია ასევე წარმოაჩენს კურიკულუმის განვითარების პროცესს.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის, პირველი და მეორე უცხო ენების (რუსული) კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკა (უცხო ენები);
- საშუალო საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები (უცხო ენები);
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ინგლისური);
- საზოგადოებრივი მეცნიერების საგნების კურიკულუმები, კომპლექსურები, შეფასების ინსტრუმენტები;
- ვიზიტის დროს გასაუბრება საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრებთან;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- დანართი- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- პროექტული სწავლების კურიკულუმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციის განხილვისას, ასევე კათედრის წევრებთან გასაუბრებისას დასტურდება მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის შესაძლებლობა სასწავლო პროცესში.
საფეხურის კურიკულუმში სწავლება ეფუძნება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს ეძლევა საშუალება, სასწავლო პროცესში გამოავლინოს ფიქრის, ძიების, მსჯელობის, აღმოჩენა-მიგნების, ჰიპოთეზების ჩამოყალიბების უნარები. მოსწავლეს უვითარდება თანამშრომლობითი სწავლის კულტურა, თავადაც გასცემს და იღებს უკუკავშირს თანატოლებისთვის, ინაწილებს საერთო პასუხისმგებლობას.
კომპლექსური დავალების შესრულების ფარგლებში, მოსწავლეებს მოეთხოვებათ სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნა, როგორიცაა, მაგალითად, პრეზენტაციის წარდგენა, ესე დაწერა და სხვა. ასეთი ტიპის კომპლექსური დავალებები ამაღლებს მოსწავლეების მოტივაციას და ხელს შეუწყობს მათი შემოქმედებითი უნარების გააქტიურებას.
სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებელთა მიერ ხდება მოსწავლეებისათვის შემოთავაზებული იდეების, ინიციატივების მხარდაჭერა და განხორციელება/რეალიზება. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
ესთეტიკური აღზრდის კათედრამ წარმოადგინა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში საშუალო საფეხურის პროექტული სწავლების კურიკულუმი, რაც ცხადყოფს, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩაბმულები შემოქმედებით და კვლევით პროცესებში, თუმცა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეთერთმეტე კლასის მუსიკის კურიკულუმი წარმოდგენილი არ ყოფილა. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა განაცხადა, რომ ამჟამად მიმდინარეობს პროექტების შერჩევა და დამუშავება.

ინდიკატორი 2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

სკოლის მიერ შემუშავებულ საშუალო საფეხურის კურიკულუმებში, სასწავლო თემები მოსწავლეებისთვის ნაცნობ შინაარსებსა და კონტექსტებთან არის დაკავშირებული, რომელიც მოსწავლეს წინარე ცოდნის საფუძველზე ახლის აგებაში დაეხმარება. კურიკულუმში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები, შინაგანი მზაობა და ინტერესები, რომელიც მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ახალი ცოდნა მანამდე არსებულ, საკუთარ გამოცდილებას დაუკავშიროს.

კურიკულუმი კომპლექსური დავალების სასწავლო პროცესში გამოყენებას ითვალისწინებს. კონსტრუქტივიზმის შემდეგი პრინციპი - წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის აგება უზრუნველყოფილია, რადგან კომპლექსური დავალების ბუნება თავისთავად ითხოვს მოსწავლისგან წინარე ცოდნას, ყოველი მომდევნო ნაბიჯის წარმართვა წინა ნაბიჯების დროს მიღებულ ცოდნას უკავშირდება. ამ ეტაპზე, ბუნებრივია, არ ჩანს საეტაპო აქტივობები, თუმცა ვიზიტის დროს, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლემ ახალი ცოდნა დააშენოს უკვე ნაცნობ კონტექსტზე, ადრე მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებაზე. წინარე ცოდნის გასააქტიურებლად მოსწავლეებს უსვამენ საკვანძო შეკითხვებს და იყენებენ სხვადასხვა აქტივობებს. მასწავლებელთა გამოცდილება ცხადყოფს, რომ მათ აქვთ უნარი, ფასილიტაცია გაუწიონ მოსწავლეს ცოდნის აგების პროცესში.

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

კურიკულუმებში შეთავაზებულია ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებმაც მოსწავლეები უნდა დააფიქროს სწავლის პროცესზე და წაახალისოს მეტაკოგნიცია. ეს უზრუნველყოფს, რომ სწავლის პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე. კომპლექსური დავალებების მრავლფეროვანი არჩევანი საშუალებას იძლევა, დავალების შესრულების სხვადასხვა ეტაპებზე, მოსწავლეებმა განსხვავებული მეთოდი და სტრატეგია გამოიყენონ და თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი. აქცენტები კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხვავებული უნარ ჩვევების გამომუშავებას.
სასკოლო კურიკულუმში სასწავლო პროცესი დაფუძნებულია კომპლექსური ტიპის დავალებებზე, რომელიც თავისი არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სწავლის სწავლას. კომპლექსური დავალების მოსამზადებელი აქტივობები და მისი წარდგენის ეტაპი გულისხმობს იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, თუ რა სტრატეგიები გამოიყენა დავალების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მოსწავლეები პასუხობენ საკვანძო შეკითხვებს, რომელიც ხელს უწყობს მათ გააკეთონ რეფლექსია დავალებაზე მუშაობის პროცესში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისად აქცენტი კეთდება მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე. დავალებები სრულდება ისეთი მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენებით (მონაცემთა შეგროვება და ორგანიზება სქემებში, ტექსტის პაუზებად კითხვის, კითხვა ნიშანთა სისტემით, მნიშვნელოვანი სიტყვები, ჯოგსოუ, სასწავლო გაჩერებები, პროექტული სწავლება, კვლევის განხორციელება, მმმ სტრატეგია და ა. შ.), ასევე ლაბორატორიული სამუშაოები. რომელიც მორგებულია, მოსწავლეთა ინტერესებზე და მათში იწვევს სწავლის მოტივაციას. აქტიურად გამოიყენება ჯგუფური და თანამშრომლობითი სწავლების სტრატეგიები.

ინდიკატორი 4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაც მკაფიოდ გამოჩნდა პედაგოგებთან საუბრისას და რაზეც მეტყველებს შექმნილი სასკოლო კურიკულუმები. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი რეალიზების საშუალებას. მოსწავლებს უმუშავდებათ პრაქტიკულ უნარი, თუ როგორ გამოიყენონ ცოდნა, გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა და მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი.
საშუალო საფეხურის კურიკულუმებში შეტანილი სასწავლო საკითხები, კონტექსტმაგალითები და კომპლექსური ბუნების დავალების პირობები უზრუნველყოფს სამივე კატეგორიის ცოდნის დამუშავებას. კურიკულუმის კონკრეტული თემის ფარგლებში გააქტიურებული, საგნობრივი საკითხების ფარგლებში დაგეგმილი, კომპლექსური ბუნების დავალებები ძირითადად მკაფიოდ აჩვენებს, თუ როგორ გამოიყენებენ მოსწავლეები დეკლარატიულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნას მუშაობის პროცესში. სკოლა აკმაყოფილებს მოცემულ კრიტერიუმს.

ინდიკატორი 5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

კურიკულუმების, სკოლის თვითშეფასების, მასწავლებელთა ინტერვიუების საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. კურიკულუმში თითოეულ სამიზნე ცნებას უკავშირდება მთელი რიგი ქვეცნებები, რომლებიც წარმოაჩენენ საგნობრივი ცოდნის სტრუქტურას. სამიზნე ცნებაზე მუშაობის პროცესში მოხდება ამ ქვეცნებების ერთმანეთთან შედარება, დაპირისპირება და სხვადასხვა ნიშნით კლასიფიცირება, რაც მათ ურთიერთდაკავშირებულ გამოყენებას განაპირობებს.

ეს კავშირები და ამ კავშირების გააზრება, კარგად ჩანს კომპლექსურ დავალებებში. კომპლექსური დავალებების, აქტივობების და პროექტების განხორციელება მოსწავლეს აიძულებს თავის გონებაში გაიხსენოს და დააჯგუფოს, დაუკავშიროს ერთმანეთს ყველა ის ცოდნა და გამოცდილება, რაც შესასწავლი საკითხის ავთენტიკურობასა და სანდოობას შეეხება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასაუბრებისას პედაგოგებმა დაადასტურეს, რომ იცინი ხელს უწყობენ მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში, რისთვისაც იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს.

საშუალო საფეხურზე სავალდებულო პროექტული სწავლება თავისთავდ მოიაზრებს ინტერდისციპლინურ სწავლებას, სადაც სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჭრილში განიხილება გლობალური საკითხები, ისეთები, როგორიცაა კულტურული მემკვიდრეობა, ხელოვანი და მისი პოზიცია და სხვა. აღნიშნული თემების განხილვისას ხელოვნებსთან ერთად ჩართულია საზოგადოებრივი მეცნიერებები, საბუნებისმეტყველო მეციერებები და სხვ. სკოლის მიერ წარმოდგენილ პროექტებში კარგად ჩანს საგანთა ინტეგრირება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის უცხო ენების კურიკულუმები (ინგლისური, რუსული);
- საზოგადოებრივი მეცნიერების საგნების კურიკულუმები, მასწავლებლის პრეზენტაცია, მოსწავლეთა ნამუშევრები, შეფასების ფორმები;
- ვიზიტის დროს გასაუბრება საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრებთან;
- მათემატიკის სასკოლო კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო პროექტები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

წარმოდგენილ კურიკულუმებში სასწავლო საკითხების შერჩევა და დამუშავება ხორციელდება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით, რაც განსაზღვრული სამიზნე ცნებების სახით. გაწერილი თემა, საკითხები და ქვესაკითხები საუძველს ქმნის სასწავლო პროცესი წარმართოს შემუშავებული კურიკულუმების შესაბამისად, რაც იქნება გარანტი იმისა, რომ სასწავლო პროცესმა უზრუნველყოს სამიზნე ცნებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. იგივე მიდგომები დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს.

საგნობრივ კურიკულუმებზე, სკოლის თვითშეფასების დოკუმენტზე, კათედრის წევრებთან კომპლექსური დავალებების შესახებ გასაუბრების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომპლექსური დავალებები კავშირშია მოსწავლეთათვის ნაცნობ კონტექსტ-მაგალითთან, აგებულია ამ სიტუაციის, მისი დეტალების, ემოციების გათვალისწინებით, ხოლო კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები მჭიდროდ უკავშირდება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს. ეს კრიტერიუმები ნაბიჯებად მუშავდება გაკვეთილებზე და ხელს უწყობს მოსწავლეს მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაში. მასწავლებლებს იდეის დონეზე გააზრებული აქვთ განმავითარებელი შეფასების ახლადშეთავაზებული (მოლოდინების) რუბრიკის არსი, წარმოდგენილი აქვთ შესაბამისი ნიმუშიც, თუმცა პრაქტიკულად თანდათან აპირებენ მათ შედგენა-გააქტიურებას.

ინდიკატორი 2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი კონტექსტები მიმართულია მოსწავლის ფსიქო-სოციალური განვითარებისაკენ. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ დავალებაზე, პროექტებზე მუშაობის და საბოლოო პროდუქტის შექმნისას, მოსწავლეს უვითარდება კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა და თანამშრომლობითი უნარები, ასევე მოსწავლე ახდენს თვითაქტუალიზაციას და აზროვნების პროცესების მართვით - თვითრეგულაციას. შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასევე დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესი სკოლაში ემსახურება მოსწავლის პიროვნულ განვითარებას და მიმდინარეობს იმგვარად, რომ მოსწავლეს შეეძლოს საკუთარი და სხვათა გრძნობების გაგება და სათანადოდ რეაგირება, თვითმართვა და თვითშეფასება, ადაპტირება გარემოსთან, გამოამჟღავნოს ნდობა ირგვლივმყოფების მიმართ, გასაგებად და თავდაჯერებულად გამოხატოს თავისი სურვილები და განცდები და, მეორე მხრივ, გაუგოს თანატოლებსაც.

სკოლას კურიკულუმში გაწერილი აქვს მრავალფეროვანი აქტივობები, შემოთავაზებული აქვს სწავლების სხვადასხვა მეთოდები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ განვითარებას.

ინდიკატორი 3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

სასწავლო პროცესი და შეფასების სისტემა ორიენტირებული მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, გაამახვილებულია ყურაღება მოსწავლეზე და მის შედეგზე, მოსწავლის თვითრეალიზებაზე, თვითრეგულაციაზე, მის შესაძლებლობების გამოვლენას და ინტერესების დაკმაყოფილებაზე, მოსწავლის სხვადასხვა უნარების განვითარების ხელშეწყობაზე.
სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, რომლებიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან. სკოლამ წარმოადგინა დაწყებითი საფეხურის კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, შეფასების ზოგადი რუბრიკები - საკლასო, საშინაო და შემაჯამებლ კომპონენტების შესაფასებლად. შემუშავებული შეფასების რუბრიკებით, მაგალითად, ფასდება როგორია მოსწავლის ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, რამდენად აქვს მას მოსმენის კულტურა, იცავს თუ არა ეთიკურ ნორმებს, როგორია მისი საქმიანობა სოციალურ გარემოში (ჯგუფებში მუშაობის დროს). წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, ჰოლისტური შეფასების გარკვეული ელემენტები გაბნეულია შეფასების სხვადასხვა რუბრიკაში.
ინტერვიუების მიხედვით, კათედრის წევრები იდეის გაგება-გაზიარების დონეზე ხსნიან და მხარს უჭერენ შეფასების სისტემის ორიენტირებას მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე.

ინდიკატორი 4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

წარმოდეგნილი მასალების საფუძველზე, როგორიცაა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, პროექტები, კათედრის ოქმი, შემაჯამებლის ანალიზის ფორმა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებული შეფასების სისტემა აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე, თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. მასწავლებლებთან ინტერვიუებით ირკვევა, რომ მოსწავლეები მონაწილეებენ რუბრიკების შექმნაში, იცნობენ ამ რუბრიკებს, რომლებიც ხშირად გამოკრულია კლასში, შეფასების რუბრიკები ცნობილია მშობლებისთვისაც. ამჟამად კათედრები მუშაობენ შეფასების ახალი ინსტრუმენტების შექმნაზე, როგორც განმავითარებელი შეფასებისთვის, ასევე განმსაზღვრელი შეფასებისთვის, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება შეფასების ყველა პრინციპი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერვიუს დროსაც მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ იყენებენ როგორც განმავიტარებელ, ისე განმსაზღვრელ 10 ქულიან შეფასებას და ამისთვის ქმნიან ჰოლისტური შეფასების რუბრიკებს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მათ ასევე მიუთითეს, რომ სკოლა თავის შეფასების სისტემას დააფუძნებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებს. შეფასების ვალიდურობის, გამჭვირვალეობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფისთვის საჭირო ღონისძიებები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმასა და შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტში. შეფასების ზემოთ აღნიშნული პრინციპების დაცვას, ასევე უზრუნველყოფს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კრიტერიუმები შინაარსობრივად დაკავშირებულია სამიზნე ცნებებსა და სტანდარტის შედეგებთან. აქედან გამომდინარე,

ესთეტიკური აღზრდის კათედრას შემუშავებული აქვს მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები, თუმცა შეფასების სისტემა საჭიროებს დამუშავებას, სამიზნე ცნებებთან,ქვეცნებებთან და მკვიდრ წარმოდგენებთან თანხვერას, რათა გახდეს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. პედაგოგებთან საუბარში გამოიკვეთა, რომ აპირებენ შეფასების რუბრიკების შექმნას სამიზნე ცნებებთან და ქვეცნებებთან მიმართებით. სკოლა აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმს.

ინდიკატორი 5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სკოლა, შეფასების სისტემის მექანიზმების განსაზღვრისას ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი ახორციელებს შეფასების ვერიფიკაციას სამი მიმართულებით: მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია. წინასწარ განსაზღვრულ რისკ-ფაქტორებთან მიმართებაში, ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი განახორციელებს შეფასების პროცესისა და ინსტრუმენტების ვერიფიკაციას შერჩევითი პრინციპით. ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნა ეგზავნება სკოლის დირექტორს რეაგირებისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი მონიტორინგს უწევს რეკომენდაციების შესრულებას.
მისაღწევი შედეგისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, მასწავლებლებს გააჩნიათ შეფასების ინსტრუმენტების გადახედვა/შეცვლის პრაქტიკა. შეფასების სისტემის გარე ვერიფიკაციის მექანიზმად სკოლა განიხილავს სხვადასხვა კონკურსებსა და ოლიმპიადებში მოსწავლეთა შედეგებს. შიდა ვერიფიკაციის მექანიზმად კათედრებზე ჩატარებულ წამახალისებელ კონკურსებს მოიაზრებს, სადაც მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ საკუთარი სურვილების შესაბამისად და არაფორმალურ გარემოში მოხდება მათი ცოდნისა და უნარების შემოწმება.

სკოლა სამომავლოდ გეგმავს დანერგოს სადიაგნოსტიკო შეფასების პრაქტიკა და დახვეწოს არსებული შეფასებისა და ვერიფიკაციის მექანიზმები. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

კათედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას, არსებული ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, ასევე მოსწავლის პირად საქმეში. ინფორმაცია დაცულია და ინფორმაციის გაცემა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით .

სკოლაში ინახება მოსწავლეთა სემესტრული, წლიური და საფეხურის ნიშნები როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. ინფორმაციის ასახვა ხდება მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სამომავლოდაც დოკუმენტაციის შენახვას და დამუშავებას გააგრძელებენ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლა საუბრობს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის და მტკიცებულებების სახით სკოლაში ინახება საკლასო ჟურნალები მატერიალური სახით. 2021-2022 სასწავლო წლიდან კი ელექტრონული ჟურნალების სახით. სკოლაში ასევე ინახება მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის უცხო ენების კურიკულუმები;
- საშუალო საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები (უცხო ენები);
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სკოლის ფილოსოფიაში გაზიარებულია სასწავლო პროცესში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს უზრუნველყოფის ვალდებულება. სასკოლო ინფრასტრუქტურასთან ერთად, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტების (სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა, სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი) საფუძველზე სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მოსწავლის მხარდამჭერი გარემოს შექმნას.

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა და კათედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლაში შექმნილი პოზიტიური სასწავლო გარემო; მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ ერთობლივად დაგეგმილი აქტივობები, რომელშიც მოსწავლე არის სუბიექტი და არა ობიექტი. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებანი; ასევე უზრუნველყოფილია გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამომუშავების ხელშეწყობა, რაც კათედრაზე კომპლექსური დავალებების სწავლებითაა შესაძლებელი. იგი იკითხება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზსა და ანგარიშში მოსწავლეებისა და მასწავლებლის დონეზე, რის მტკიცებულებად პედაგოგიური საბჭოსა და კათედრის ოქმებია წარმოდგენილი. გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურა, იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებსაა მორგებული.

ინდიკატორი 2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

წარმოდგენილი მასალების ანალიზიდან, კურიკულუმების განხილვისას, კათედრის წევრებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის ინდივიდუალური, ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლები, შესაძლებლობები, უნარები, ინტერესები, საჭიროებები და სწავლის სტილი და ამავე დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა აქტივობებში, ოლიმპიადებში, კონფერენციებში, პროექტებში და ა შ. , სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. ეს ყველაფერი ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი სკოლაში მიმდინარეობს მოსწავლეზე ორიენტირებულად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმები მოიცავს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებებს), მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და ინტერესებისთვის შესაბამის სასწავლო თემებსა და მრავალფეროვან კომპლექსურ დავალებებს. ვიზიტის დროს, გამოიკვეთა, რომ პედაგოგები იყენებენ კონსტრუქტივისტული სწავლების პრინციპებს (წინარე ცოდნაზე დაფუძნება, დიფერენცირებული მიდგომა, მეტაკოგნიტური უნარების განვითარება და სხვა), რომელიც მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. სკოლა, კომპლექსური დავალებების დანერგვით, უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში. მოსწავლეები არა მხოლოდ აქტიურად მონაწილეობენ განათლების მიღების პროცესში, არამედ საშუალება აქვთ, ერთმანეთს დაეხმარონ და მონაწილეობა მიიღონ თანატოლების სწავლა-სწავლების პროცესშიც.
ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის სპორტულ ოლიმპიადებში, სასკოლო სპორტულ ფესტივალებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებსაა მორგებული.

ინდიკატორი 3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სკოლის დოკუმენტაციებში წარმოდგენილია და კათედრის წევრებთან გასაუბრებისას დასტურდება, რომ დამკვიდრებულია თანამშრომლობითი კულტურა. სასკოლო საზოგადოებას აერთიანებს საერთო ღირებულებები და ინტერესები. სასწავლო პროცესი ხორციელდება თანამშრომლობითი პრინციპების დაცვით, რაც ხელს უწყობს სამართლიანი და თანასწორუფლებიანი სამუშაო გარემოს შექმნას და პროცესში ჩართული ან დაინტერესებული პირების უფლებებისა და ინტერესების დაცვას; კათედრის წევრები ერთობლივად შეიმუშავებენ სასკოლო კურიკულუმებს, რაც გულისხმობს როგორც კურიკულუმების ჩარჩოს შემუშავების, ისე კურიკულუმის განხორციელების პროცესში მასწავლებლების მიერ სამუშაო შეხვედრათა დაორგანიზებას. აღნიშნული კი დასტურდება კათედრის მუშაობის ოქმებში. კათედრის წევრები უზიარებენ ერთმანეთს პროფესიულ გამოცდილებას. სასწავლო პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს და აძლევენ უკუკავშირს.

სკოლა აცნობიერებს, რომ თანამშრომლობა და გუნდურობა ამ მრავალფეროვნებას აქცევს მნიშვნელოვან პლატფორმად მოსწავლეზე ორინეტირებული გადაწყვეტილებების მისაღებად. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ინდიკატორი 4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები, პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფის მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამ და სხვა დოკუმენტებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლაში დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურა, რწმენების, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების გაზიარებული სისტემა, ქმნის ურთიერთობის ისეთ ფორმას, რომელიც მისაღები და გაზიარებულია მათვის და აყალიბებს ისეთ ნორმებს და წესებს, რომლებიც უზრუნველყოფს პოზიტიურ კლიმატის შექმნას, როგორც სკოლის ასევე კლასის დონეზე. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სკოლა წარმოადგენს კეთილგანწყობილ დაწესებულებას, სასკოლო საზოგადოებისათვის. შექმნილია უსაფრთხო, მზრუნველი და მოწესრიგებული სასწავლო გარემო. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, სკოლაში მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, დირექციასთან და მშობლებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლაში ვიზიტის დროს, სამუშაო სივრცის გაცნობის და მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, სკოლას გააზრებული აქვს, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამოკიდებულება საკლასო ატმოსფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. ყურადღებიანი, ემპათიური და მეგობრული მასწავლებელი დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე. მასწავლებელი მოსწავლეს უდგება როგორც ინდივიდს თავისი საჭიროებით, სურვილებითა და ინტერესებით. მოსწავლეს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი და დასვას მისთვის საინტერესო კითხვები. სასწავლო პროცესში მოსწავლეები და მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. პედაგოგები ასევე საუბრობენ პოზიტიურ საკლასო გარემოს მნიშვნელობაზე. სკოლა ცდილობს შემქნას პოზიტიური ფიზიკური გარემო, მოსწავლეებს შესთავაზოს მრავალფეროვანი რესურსები და დაამკვიდროს ურთიერთობის წესები ჯანსაღი ატმოსფეროს შესაქმნელად. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- მათემატიკა სასკოლო კურიკულუმები;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლასა და მშობელს შორის დადებული ხელშეკრულება;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი;

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

ii. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც თავისთავად თანხვედრაშია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გაწერილი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების პროცესში სტრატეგიული /სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას განახორციელებს ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პროცესების მონიტორინგზე, ინტენსივობაზე, მონაცემების ანალიზსა და დამუშავებაზე. ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით რეაგირებაზე. შეფასების შედეგები გამოყენებული იქნება მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრიცესი ეფუძნება კათედრის წევრებსა და დირექციას შორის. სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შექმნას, კითხვარების შედგენას მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის, რომელზეც დაყრდნობითაც გააკეთებენ SWOT-ანალიზს, რომელიც ხელს შეუწყობს, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგი და შეფასება. სკოლა აკმაყოფილებს მოცემულ ინდიკატორს.

ინდიკატორი 2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, მათი მუშაობის პროცესი მიმდინარეობს შემუშავებული დებულების შესაბამისად, სასკოლო საზოგადოების განვითარებისა და მხარდაჭერისთვის. რის შედეგად სკოლაში მიმდინარეობს მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. პედაგოგები ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს, რეკომენდაციებს. ამ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. ასევე ანალოგიურ პროცესს ახორციელებენ ადმინისტრაციის წევრები საფეხურებისა და კლასების მიხედვით. მონიტორინგის შედეგები გამოიყენება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისა და განვითარებისათვის. პედაგოგები თანამშრომლობენ როგორც კათედრის ფარგლებში, ასევე მომიჯნავე კათედრებთან - ესწრებიან გაკვეთილებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას.
უზიარებენ გამოცდილებას, ხოლო მოსწავლესთან მიმართებაში საჭიროების მიხედვით იყენებენ დიფერენცირებულ სწავლებას. სკოლა აკმაყოფილებს მოცემულ ინდიკატორს.

ინდიკატორი 3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში - სასკოლო სასწავლო გეგმასა და კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში, ასევე სტრატეგიულ და სამოქმედო მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ მონიტორინგი და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით: მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება, ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად; პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემის გადაჭრისთვის, სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის. იგივე დასტურდება კათედრის წევრებთან გასაუბრებითაც.

სკოლა, კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგის გზით, მიზნად ისახავს გამოვლენილი პრობლემების გადაჭრასა და რეკომენდაციების პაკეტის შემუშავებას, რომელიც გამოყენებული იქნება ახალ სასწავლო წელს უკეთესი სასწავლო შედეგების მისაღებად, რაც სრულად შეესაბამება ინდიკატორს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- უცხო ენების კათედრის შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმები;
- უცხო ენების კათედრის გაკვეთილზე დასწრების ფორმა;
- მათემატიკა სასკოლო კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

როგორც წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმებიდან, სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდან, წლიური სამუშაო გეგმიდან, და მასწავლებლების მიერ გაზიარებული გამოცდილებიდან დასტურდება, სკოლა სასწავლო პროცესის შეფასებას აფუძნებს კონსტრუქტივისტულ მიდგომებს, რომლის მიზანია, როგორც მოსწავლის ცოდნის დონის დადგენა, ისე მისი დახმარება საკუთარი სწავლის გაუმჯობესებაში. ამ მიზნით მოსწავლეთა შეფასებისთვის იყენებენ მრავალფეროვან წყაროებს: სასწავლო პროცესზე დაკვირვება, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები, სადიაგნოსტიკო კითხვები, თვითშეფასება და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ურთიერთშეფასება, სასწავლო პროცესზე დაკვირვება, კომპლექსური დავალების შესრულების პროცესზე დაკვირვება, პროექტების მონაწილეობის პროცესი, მასწავლებლის პორტფოლიო, დიაგნოსტიკურ წერები, მოსწავლეთა ნაშრომები და ა.შ.
სკოლამ წარმოადგინა მათ მიერ შექმნილ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მრავალფეროვან რუბრიკები, რომელთა დახმარებითაც ხდება მოსწავლის აკადემიური მოსწრების დინამიკაზე დაკვირვება, რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
შეფასება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების, მათი მკვიდრი წარმოდგენების, თემატური შედეგების, კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინებით, შეფასება მიზანმიმართულია 6 ფუნქციურ -კომპონენტური უნარის განვითარების ხელშეწყობაზე. დოკუმენტებში გაწერილია და კათედრის წევრებთან გასაუბრებაც ადასტურებს, რომ შეფასება ხორციელდება იმის შესაბამისად, რამდენად მოახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში. ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.
სკოლა მოსწავლეებს სხვადასხვა სასწავლო კონტექსტში აფასებს, რისთვისაც იყენებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, როგორიცაა კომპლექსური დავალების, გაკვეთილზე ჩართულობის, ჯგუფური მუშაობის, საკლასო დავალების, საშინაო დავალების, დისკუსიის, მოსმენის დავალების, ესეს, ზეპირი პრეზენტაციისა და სხვა შეფასების რუბრიკები.

სკოლას აქვს გამოცდილება, კურიკულუმის შეფასებისას გამოიყენოს მასწავლებლის თვითშეფასება, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა გამოკითხვა, თუ რა შეძლეს და სად სჭირდებათ დახმარება. ასევე კათედრაზე, სამუშაო ჯგუფებში, მასწავლებლებთან, მშობლებთან, საგნობრივ ექსპერტებთან საერთო შეხვედრებზე გამოკვეთილი კურიკულუმის დანერგვის პროცესში შექმნილი სირთულეების გათვალისწინება ახალი კურიკულუმის შექმნისას, არის დასტური იმისა, რომ სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.

საშუალო საფეხურზე სავალდებულო პროექტული სწავლების შეფასების სისტემა დამუშევების პროცესშია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, ასევე მუსიკის პორექტული სწავლების მასწავლებლის წიგნში მოცემული შეფასების რუბრიკებისა და სოლო ტაქსონომიის მიხედვით, სადაც მასწავლებელთა თქმით გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა შესაძლებლობები.

ინდიკატორი 3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სასწავლო პროცესის შეფასებისთვის მონაცემების შეგროვების მეთოდად ითვალისწინებს მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით. სკოლა თავის

თვითშეფასების ანგარიშში მიუთითებს, რომ გამოიყენებს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც ტრადიციულ, ასევე, ახალი სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტებს - მოსწავლის დაკვირვებას, ფოკუს ჯგუფსა და ჩაღრმავებულ ინტერვიუს; რაოდენობრივ და თვისობრივი კვლევებს, რომელშიც ჩართული იქნებიან მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები; პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა უკუკავშირი, მშობელთა უკუკავშირი, პედაგოგთა სამუშაო შეხვედრებზე განხორციელებული აქტივობების ანალიზი, მოსწავლეთა ნამუშევრების (შემაჯამებელი წერების, კომპლექსური დავალებების და სხვა.) ანალიზი, რაც ადასტურებს, რომ სკოლა შეფასებისას იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ინდიკატორი 4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი რუბრიკებიდან, კურიკულუმების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიიდან დასტურდება, რომ შეფასება მიმდინარეობს მოსწავლეთა თვითშეფასების, მოტივაციის, ჩართულობის, ურთიერთანამშრომლობის ფაქტორების გათვალისწინებით. სკოლა შეფასებისას ეყრდნობა, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებს, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სოციალურ ფაქტორებს. ინტერვიუზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკები საგანში ის ეფექტური ინსტრუმენტებია, რომელიც გამოიყენება როგორც მოსწავლეების ნამუშევრის, ასევე მუშაობის პროცესის შეფასების მიზნით. სწორედ ასეთი რუბრიკის გამოყენება იძლევა ისეთი სამუშაოს შეფასების საშუალებას, როგორიცაა მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციები, წერითი ნამუშევრები, კომპლექსური დავალებების დაძლევის ხარისხი. ასევე გასათვალისწინებელია, რომ მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს, არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან, იქნება ეს მეზო, ეგზო, მაკრო, თუ სხვა, რაც დამრიგებელთა მუშაობის ანალიზში ამოიკითხება.

სკოლა თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნავს და ინტერვიუშიც დადასტურდა, რომ სამომავლოდ აპირებს სასწავლო პროცესის შეფასების დროს მეტად გაითვალისწინოს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა გარემო, დროის მენეჯმენტი, რესურსების უქონლობა და მოსწავლის ფსიქო-ემოციური ფონი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- უცხო ენების შეფასების რუბრიკები;
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი 1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

წარმოდგენილ დოკუმენტში „კურიკულუმის-განვითარების მეთოდოლოგია“ გაწერილია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანერგვის პროცესის გაანალიზება. მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად; რეკომენდაციების პაკეტს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად და ჩაიშლება განახლებულ კურიკულუმსა და სამოქმედო გეგმაში. ამის დასტურია კურიკულუმების ჩარჩო-დოკუმენტები.
მასწავლებლებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ ეს პრინციპები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლა ჩართულია ზოგადი განათლების რეფორმის პროცესში და სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას მუდმივად იღებს საგნობრივი ექსპერტებისა და ავტორიზაციის პროცესებში მხარდამჭერი ჯგუფის რეკომენდაციებს. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ინდიკატორი 2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

კურიკულუმის წარმოდგენილი ვერსია გარკვეულწილად ეფუძნება წინარე გამოცდილებას, რადგან სკოლაში არსებობს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, ეს შესაძლებლობას იძლევა, მოხდეს კურიკულუმების გადასინჯვა და მისი გაუმჯობესება; კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, მომდევნო წლის კურიკულუმი მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების გათვალისწინებით იქნება შემუშავებული, შესაბამისად დაეფუძნება წინარე გამოცდილებას. ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია გაკვეთილზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილი მიგნებები, რაც კათედრის წევრებთან გასაუბრებიდანაც დასტურდება. სკოლას აქვს მზაობა, საჭიროებისამებრ დაგეგმოს და განახორციელოს კურიკულუმის განვითარებისთვის საჭირო ცვლილებები. სკოლა აკმაყოფილებს კრიტერიუმს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მათემატიკა სასკოლო კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

09.09.2023

თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: